F 1/2 № 12900
1
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 137
ივლისის 2, სამშაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 137
ივლისის 2, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ირველ ივლისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“
ღირს ექვს მანეთად. (6. მ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ხელის მოწერა მიიღება:
ილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ.-ქარვასლა).
უთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
აქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს
გნის მაღაზიებში და ბათუმში ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ღვთის-მოყვარულთა ქრისტეანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად
იბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომ-
ც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე
რიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქე-
ია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გად-
ქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე
ნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელლოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შე-
ვნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე-
ობაზედ.

ვიმეორებ ამ თხოვნას, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდე-
ელ ქრისტეანეთა და ესხრვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен. Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ისყიდება ვერაზედ
ამ-სართულიანი სახლი, რომელსაც
ის ვალიც აქვს.
[illegible]
ობათა შეტყობა შეიძლება „ივე-
ის“ რედაქციაში.
(10—9).

ვექილი
ა. მ. ახნაზაროვი
გადავიდა
ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში,
21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერ-
თ, „ივერია“-სეულს სადგომში.
ნახვა შეიძლება: დილის 8—10 საათამდე და
ამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარ-
დილით 9—12 საათამდე. (10—9)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
ლებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს
ლის 8—10 საათ. და 11—2-მდის.
კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5
7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

კასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5
ბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ
იქმნება დაბ. სურამში
არეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები
მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის
რპუსისათვის.
მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და
პერ. მიხ. კორსანიდი.
(6—22)

ქართველ ქალთა
ამხანაგობა
ამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში
ს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს,
ეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰ-
კენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

გორში
ექიმი ქ. ლ. ტურიაშვილი
ილებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში,
ანგების ეკლესიის ახლო.

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ბ-ნ წევრთ სთხოვენ მობრძანდნენ საზოგადოების კრებაზედ, რომელიც დანიშნულია ოთხშაბათს, 3 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე.
[illegible] შემდეგი საგნები:
1) [illegible] წევრთა არჩევნები.
2) საბჭოს მოხსენებანი: ა) შუამდგომლობა გამოფენის გამო მომხდარ დეფიციტის გასტუმრების შესახებ; ბ) შუამდგომლობა მუღანოს მორწყვის შესახებ და გ) ოქმები საბჭოსი და საერთო კრებათა.
კრებაზედ დასწრება გარეშე პირთაც შეუძლიანთ. (2—6.—1)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.
ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
ბ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილით:
ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ბ. ზ. მალალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.
ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, 12—1 საათ.
ზრ. ვ. სოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.
ა. ზ. მალალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
კვირაობით:
ზ. ზ. მალალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისი, 2 ივლისს.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ პატივცემულ ნესტორ წერეთლის საყურადღებო წერილს. ეს წერილი აღგვიძრავს ბევრს საგულისხმიერო ამბებს ჩვენის წარსულიდგან.

ამ 20—30 წლ. წინად საქართველოში დაარსდა დეპოები და სხვა-და-სხვა ამხანაგობანი გორს, საგარეჯოს, მაჩხაანს, თელავს, ტფილისს და სხ. პირველად ეს დაწესებულებანი ჩინებულად ემსახურებოდნენ საზოგადოებას და მათ დამაარსებელ ამხანაგობათ. გარნა მალე ამხანაგთა შორის ასტყდა უსიამოვნო აურ-ზაური, კეთილის საქმის დამამხობელი შფოთი და უთანხმოება და თვით ჩინებული დაწესებულებანიც დაძაბუნდნენ, სული ველარ მოითქვეს და მალე მოისპნენ, ჩვენდა სამწუხაროდ და ჩარჩმღვეჭართა სასიხარულოდ.

საქართველო ერთს დროს ძლიერი სამეფო იყო და თაოსნობდა დიდ-დიდ მსოფლიო საქმეებსაც-კი, არა თუ წვრიმალებს, ვითარცა არხების გაყვანა უდაბნო ადგილების მოსარწყავად, კედლების გავლება ველურ სკვითების მოსაგერებლად, დიდებულ ტაძრების აგება საუკუნო ძეგლად ერის შემოქმედებით ნიჭისა და ჰაეროვნებისა, აკადემიებისა და მრავალთა სკოლათ დაარსება სწავლა-განათლების მოსაფენად სამხრეთიდგან ჩრდილოეთამდის, პონტოდგან გურგენამდის. მაშინ ჩვენში სუფევდა ერთობა, ძმური მუშაობა და ჰაპანწყვეტა. ვინ არ იცის, რომ ერთობა დიადი, თითქმის, უძლეველი ძალაა.

გავიდა დრო. დაიბადნენ თავმოყვარე კაცები, მთავრობის უფლების მეძიებელნი და მისთვის სულწასულები, მთელი სამეფოც დასუსტდა, დაძაბუნდა: ქართველის ჭკუა მოუნდა გაიძვერა თავმოყვარეთა პირადობის დაცვას და საზოგადო, სამამულიშვილო საქმეები, თითქმის, მთლად მიივიწყა. მოისპო ერთობა შინ—კერის გარშემო, ერთობა სოფლად—მეზობლობაში, ერთობა საქვეყნოდ—საქართველოს'არე-მარეზე და ჩვენმა თავისუფლების ჩარხმაც ტოკვა იწყო.

დღეს ჩვენ, ქართლოსიანნი, კვლავ შეერთებულნი ვართ სულიერადაც და ხორციელადაც, განათლება, განვითარება, ძმობა და ერთობა კიდევ შეიქმნა ჩვენ საერთო მიზნად და სანუგეშო მისწრაფებად. მაშასადამე, თუ გვსურს რაიმე კეთილი საქმე, რაიმე საზოგადო დაწესებულება აღვიყვავდეს და გაგვიბრწყინდეს, ჯერ არს დავივიწყოთ პირადნი მისწრაფებანი, ჯერ არს საზოგადო მიზნით ვემსახუროთ საერთო ანუ საერო დაწესებულებას. წარმატება ამ გვარ დაწესებულებათა ყველას წარმატებაა, ხოლო ყველას წარმატება ხომ საერო მისწრაფებათა მაჩვენებელი კანდელია, მის აღორძინების წინამორბედი მოციქულია.

რაღა თქმა უნდა, ძველებურს გზაზე გამწევსა და წინდაუხედავს მთავრებს არ ვადარებთ დღევანდელ ქართულ დაწესებულებათა გამგეთ, წევრთ ამ გვარ დაწესებულებათა და ამხანაგობათ და მათ ავ-კარგის გამომჯდაპრებელთ. ჩვენი აზრია მხოლოდ ერთხელ კიდევ გავუთვალისწინოთ მთელს ქართველობას, თუ რა შეუძლიან სიყვარულით და სიტკბოებით გამსჭვალულ ამხანაგობასა თუ დასს და რა შედეგი მოსდევს იმ საქმეს, საცა ესეთი სიყვარული და სიტკბოება არ სუფევს.

უბრალო და მარტივმა კითხვებმა ჩვენ არ უნდა აგვაღელვოს, მით უმეტეს, როდესაც ამ კითხვების, ასე თუ ისე, გადაწყვეტა შეკავშირებულია ჩვენის სანუგეშო დაწესებულების დღეგრძელობასთან. აღელვებულს და გაშფოთებულს კაცს არ შეუძლია დამჯდარი და დალაგებული მსჯელობა, მრავალთაგან დაარსებული დაწესებულება-კი ხანგრძლივი აწონ-დაწონვის, მშვიდობიანად გაბჭობის ნაყოფია და ყოველთვის და ყოველთაგან მოითხოვს მშვიდობიანს და წინდახედულს ჩხრეკა-ძიებას, განმარტებას და, ბოლოს, მსჯავრის დადებას.

ქართველთ თაოსნობით ქართულ დაწესებულებათ კარგის სმენა ყველას გვახარებს, ავის შეტყობა—ყველას გვაღონებს და გვაჭმუნვებს. მაშასადამე, ყველანი უნდა ვეცადნეთ, მეთაურნიცა და მიმყოლნიც, რომ ესრეთნი დაწესებულებანი ძმურის შრომით აღვაღორძინოთ და აღვაყვავილოთ სასიხარულოდ ყოველის ქართველისა, შესაქმნელად უკეთესის მერმისისა.

ტფილისი

◆ გუშინ, 1 ივლისს, ქვაშვეთის ეკკლესიაში, გარდიხადეს წირვა და აუგეს ანდერძი ახლად განსვენებულს თავად არჩილ ჭავჭავაძეს. მწირველი ბრძანდებოდა არხიმანდრიტი გიორგი (ალადაშვილი). ოცამდე მეტის გვირგვინით იყო შემკული კუბო. წირვას დაესწრნენ მთავარ-მართებლის თანაშემწე ფრეზე, გუბერნატორი სვეჩინი და მთელი პოლკი ნიჟეგოროდისა. წირვა გათავდა 11 და 45 წუთს. მიცვალებული მიაცილეს კახეთის გზაზე, სადაც სამგზავრო ამფიონში გადაასვენეს. მიცვალებულს ხვალ დაჰკრძალავენ სოფელ წინანდალში ჭავჭავაძეთა საგვარეულოს სამარხ ადგილას.

◆ წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის წლიური კრება, რომელიც დანიშნული იყო 30 ივნისს, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო. კრება გადიდვა 7 ივლისისათვის. კიდევ ვიმეორებთ, რომ სასურველი იყო ამხანაგობის გამგეს სექტემბრისათვის გადაედვა კრება, რადგან წევრთა მომეტებული ნაწილი გასულია ამ ჟამად ქალაქ გარედ სააგარაკოდ.

◆ დღეს, საღამოთი, მუხრანის ქუჩაზედ, ალხაზიშვილის სახლში დანიშნულია მიწების შემძენ ამხანაგობის გამგეობის კრება. კრებაზედ იქნება ლაპარაკი აგრეთვე საამხანაგოდ ვენახის გაშენების თაობაზედაც.

◆ ჩვენ მივიღეთ ჟურნალ „მოამბის“ მაისის ნომერი შემდეგის შინაარსით: I „ანტონ ზურაბიჩი“, (ეტიუდი) შ. არაგვისპირელისა (დასასრული); II „ტორკვემადა“, დრამა 5 მოქმედებად ვიქტორ ჰუგოსი, თარგმანი კ. ყიფიანისა (გაგრძელება); III „მებრძოლნი“, (ამბავი ბურ-ინგლისელთა ომიდან). თ.ს—სი; IV „თელავის რექტორის გაიოზის სიტყვა სწავლის შესახებ, ა. ხახანაშვილისა; V „უცხოეთის მიმოხილვა“,—სამხრეთი აფრიკა და ინგლისი; დამატება—„საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე“, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლ—სი.

◆ კვირას, 30 ივნისს, ექვთიმე ხელაძის სტამბის საიუბილეოდ გამართულ სადილზედ სხვათა სიტყვათა შორის წარმოითქვა სიტყვა, რომლის მთქმელიც ამტკიცებდა სტამბის მუშათათვის დამხმარებელი კასსა უნდა დაარსდესო. სადილზედ დამსწრეთ სთხოვეს ე. ხელაძეს ამ საქმის განხორციელება იკისრეო.

◆ 28 ივნისს რაჭის მაზრის სოფ. ხვანჭკარის მცხოვრებმა ქალაქის მე-9-რე განყოფილების ბოქაულს გამოუცხადა, რომ მის სახლში არ ყოფნის დროს სპარსეთის ქვეშევრდომმა ალა-ბაღა-მაჰმეტი-ოღლიმ და ტფილისის მცხოვრებმა ჰუსეინ-თაირ-ოღლიმ გასტეხეს იმის სადგომი ოთახი და მოიპარეს რევოლვერი ღირებული 20 მანეთადაო.

◆ 28 ივნისს, კრწანისის ახლო, ხერუა ფარსეგოვმა ჩხუბში მძიმედ დასჭრა სპარსეთის ქვეშევრდომი ალა-მეხტი-ოღლი საფეთქელში და მარჯვენა ხელში; დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ 27 ივნისს, არსენალის ქუჩაზედ, ვიატკის გუბერნიის მცხოვრები, მიხეილ ფეკლისტოვი სამუშაოდგან დაბრუნების შემდეგ უცბად გარდაიცვალა. გამოძიება სწარმოებს.

◆ 27 ივნისს, ტფილისის მე-8 განყოფილების ბოქაულის სამმართველოში მეეზოვეთ სამსონ კარაპეტოვმა და ალექსი მინაევმა წარადგინეს უფროსი უნტერ-ოფიცერი, რომელსაც მოეპარა ორი რეზინის შინი, ღირებული 10 მან. დამნაშავე გამოტყდა.

◆ 27 ივნისს, მე-8 განყოფილებაში სოლომონ გაბაშვილის მამულის ღობის ძირში, პოლიციელმა იპოვა მიგდებული ბავშვი, დაბადებით ექვსის თვისა. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

◆ 28 თიბათვეს, ბაგრატიონის ქუჩაზედ, მიხეილ ალექსანდრეს ძეს მოლოდინაშვილს, საკუთარ სახლიდგან მოჰპარეს ხალიჩა ღირებული 20 მან.

◆ სვიატოპოლსკის ქუჩაზედ, გურამიშვილის სახლიდან მოიპარეს სხვა-და-სხვა ნივთეულობა, ღირებული 43 მან. გამოძიება სწარმოებს.

◆ სათავად-აზნაურო ქარვასლაში მოვაჭრე ნაზარბეგოვის შაქრის ბოჩკიდამ მოუპარავთ 5 თავი შაქარი ქურდობა ჰბრალდება მკაზმავ აკოფოვის ხელოსანს.

ჩვენებური ამბები

შაბათს, 29 ივნისს, წინამძღვრიანთ-კარში აკურთხეს სკოლის ახლად აშენებული ეკკლესია წმ. ილია და ოლგას სახელობაზედ. მწირველი ბრძანდებოდა არხიმანდრიტი გიორგი. გალობდა მოწაფეთა გუნდი ალ. კავსაძის ლოტბარობით. ბ-ნმა ილია წინამძღვრიშვილმა სადილად მიიწვია მრავალნი დამსწრენი, მათ შორის ილია ჭავჭავაძე, სულთან-კრიმგირეი და სხვანი.

—

ქუთაისი. ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში კურსისტები-მასწავლებლები სწავლობენ ხილისა და ბოსტნეულობის ხმობას „რიდერის“ სახმობზედ. დიდად სასურველია შემოღება ჩვენში ხილის ხმობისა, თუმცა, საუბედუროდ, რიდერის აპარატი, რომელშიაც ხილს ახმობენ, ერთობ ძვირია—225 მანეთი, და მის ყიდვას შეიძლებს ჩვენში მხოლოდ კაპიტალისტი. აპარატს, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ჰყიდულობენ თითო-ოროლანი. კურსების დამთავრების შემდეგ მასწავლებლები წავლენ სამტრედიაში, სადაც უნდა დაათვალიერონ ახლად დაარსებული აბრეშუმის ქარხანა; აქედგან კურსისტები ეწვევიან კულაშის ნორმალურ სასწავლებელს, სადაც უნდა გამართონ მოწაფეებისათვის სამეურნეო საგნების გაკვეთილები და მუშაობა. მუშაობის დროს გააცნობენ მასწავლებლებს, შეუძლიანთ თუ არა მოწაფეებს შეისწავლონ შემდეგის დღისათვის

გაკვეთილი რუსულის ენისა, ან გეოგრაფიისა, ან ისტორიისა. კურსისტებს წაჰყვება ბ-ნი ნ. მკურნალი.

თუ ადგილობრივმა დირექციამ საშუალება არ აღმოუჩინა მასწავლებლებს, მაშინ ეს მარშრუტი მოიშლება და ახლო-მახლო სასწავლებლებიდგან მოწაფეებს მოიწვევენ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში, სადაც უნდა მისცენ სამაგალითო სამეურნეო გაკვეთილები. მასწავლებლები დიდის სიყვარულით ეტანებიან თავიანთ საგანს და თუმცა სასწავლებელში ცოტა შევიწროებულნი არიან, მაგრამ ყველაფერს ითმენენ და გართული არიან საქმეში. კურსისტების უმრავლესობა სამეგრელოს მასწავლებლები არიან.

—

სოფ. კახი (ზაქათ. მაზრა). ყანები უკვე იმკება. კარგს გამოსავალს ელიან. გაზაფხულის მაგვიანებმა თოვლმა და ყინვამ ვენახებს კვირტი ჩამოაყრევინა. ეგონათ, წლეულს ვენახი მოსავალს აღარ მოგვცემსო, მაგრამ ეს ასრე არ მოხდა. ვაზმა ისევ კვირტი გამოიბა, ისევ ფოთლითა და სხვილ-სხვილ მტევნით შეიმოსა და ახლა მევენახეთა თვალს ახარებს და უქადის საკმაო შემოსავალს. ჩალთუქებისა (ბრინჯის) და ფეტვის ნათესებს კარგი პირი უჩანთ, აგრეთვე ბოსტნეულებს, და მრავალგვარი ხეხილებიც საკმაოდ დატვირთულნი არიან ხილითა და ნაყოფით. ყველა ამის მაყურებელი ინგილო-ქართველნი იმედოვნებენ, რომ წარსულის წლების მოუსავლობის დანაკლისს აინაზღაურებენ. ღმერთმა ქნას!

ივნისის დამდეგ რიცხვებში აქ იყო ძლიერი ქარიშხალი. ქურმურის წმ. გიორგის საყდარს სარქველი მოჰგლიჯა, აგრეთვე ზოგიერთ სახლებსაც და შენობებს ზიანი მისცა; ზოგან ხეებიც დაგლიჯა ძირიან-ფესვიანად. სასიხარულოდ, მალე დაყუდდა, მიწყნარდა.

აქ ისევ დათარეშობს ყაჩაღი ჰუნუსა. საკვირველია ამ კაცის თავგადასავალი. ახალგაზრდობისას მთავრობის სამსახურში იყო და თვითონ სდევნიდა ქურდებსა და ყაჩაღებს. ჰაჯარა რომ შემოერია, რაღაც მიზეზის გამო, ყაჩაღად გავარდა და ხუთიოდე წელს ნავარდობდა ინგილოთა სოფლებში. მისი მფარველნი, როგორც ამბობდნენ, აქაური თათრების [illegible]რონსანნი იყვნენ. გარნა ინგილოებმა მოასწრეს მას ერთს ვიწროობაში და დასჭრეს მკლავში. ღამის სიბნელემ მას უშველა. იგი სადღაც მიიმალა. ხოლო მეორე დღეს თვითონვე გამოცხადდა აქაურს სამმართველოში და მიეცა მთავრობას. იგი წაიყვანეს ზაქათალას, ოთხი თვე უწამლეს, დამტვრეული მკლავი მოურჩინეს და გაგზავნეს ციმბირს. იქ დაჰყო ერთი წელიწადი, მერე ისევ დაბრუნდა და ყაჩაღად გავარდა. მას აქეთ დასდევენ მას, მაგრამ არ იქმნა, ხელთ ვერ იგდეს. მან, როგორც აქედგან გეცნობათ, მოჰკლა ბოქაული ზინოვიევი. იყო აქ ერთი მართლ-მადიდებელი და განისვენა. ქართული წირვა-ლოცვა ისე ეჯავრებოდა, რომ ჩვენს უფალო-ს (უფალო, შეგვიწყალენ) упало-ს ეძახდა (უპალ, უპალა, უპალო—არ მომწონსო). ამისთანა უგუნურნი და ბრიყვებიც თავის-თავს ქრისტეანებად ჰხადიან და ივიწყებენ, რომ ქრისტემ მოციქულებს უბრძანა, იქადაგეთ ყოველს ენაზე და მოაქციეთ ერნი სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

კახის მამასახლისად ამოირჩიეს ჯერ ისევ ახალგაზდა, ნიჭიერი და მხნე გაბრ. ჯანაშვილი, ღვიძლი ძმა მ. გ. ჯანაშვილისა. იგი უკვე შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას და ყველანი დარწმუნებულ არიან, რომ პირნათლად შეასრულებს მისდამი რწმუნებულ მოვალეობას და ამ დიდს საზოგადოებას რიგიანად უმამასახლისებს.

შევიტყეთ, რომ ზინოვიევის მაგიერ აქ ინიშნება თ. ვაჩნაძეო, მაზრის გამგებლის უფროს თანაშემწედ გველესიანიო და უმცროსად-კი მანსვეტაშვილი. ეს გველესიანი, რომელმაც ინგილოებს ბევრი სიკეთე დაანახვა, დღეს მაზრის გამგებლის უმცროს თანაშემწედ ითვლება, ბ. მანსვეტაშვილი-კი ბელაქნის ნაწილის უფროსია.

ზაქათალაში მოვიდნენ ვ. ე. ვასილიევი და ი. ს. სტანიშევსკი. მათ მთავრობისაგან მინდობილი აქვთ შეისწავლონ ეს მაზრა არქეოლოგიურ-ისტორიულის მხრივ.

კაკელი.

რუსეთი

განათლების მდგომარეობა

გაზ. „Русск. Вѣд.“-ში შემდეგს მოგვითხრობს ბ-ნი ს. [illegible] რუსეთში სწავლა-განათლების მდგომარეობის შესახებ:

„გასულ XIX საუკუნის დასაწყისში საერო განათლების სამინისტროს ხარჯი მთელის სახელმწიფო ხარჯების 2,5% შეადგენდა. იმავ საუკუნის მეთხმოცდაათე წლებში, ე. ი. 1891-მდე, ხარჯი თითქმის იგივე დარჩა, რაც საუკუნის დასაწყისში იყო: სახელმწიფოს საერთო ხარჯების 2,6%, თუმცა ცალკე აღებული 22 მილიონს უდრიდა. 1891 წელს სიმშილობის გამო ამ ბიუჯეტს ხარჯს კიდევ ჩამოათალეს ერთი მილიონი და მხოლოდ ბოგოლეპოვის (მინისტრის) დროს გაადიდეს 26 მილიონს, ასე რომ 1898 წ. იგი შეადგენდა 26,9 მილიონს, რაიც სახელმწიფო ხარჯების მხოლოდ 2% გამოდის! შემდეგ 1901 წ., ამ [illegible] ხარჯს კიდევ ჩამოათალეს 100,000 მანეთი და 1900 წელში ნაჩვენები 1,9% საერთო ხარჯისა მეორე წელიწადში 1,8%-ზედ ჩამოვიდა. 1902 წელს, რადგან დიდი რეფორმების განზრახვა ჰქონდათ, წინანდელ ხარჯს კიდევ წაუმატეს 3 მილიონი; ამგვარად დღეს საერო განათლების სამინისტროს 36,6 მილიონი აქვს თავის განკარგულებაში, მაგრამ ეს თანხა მთელი სახელმწიფოს ხარჯების 1,9%-ს ძლივს უდრის. ამაზედ [illegible] ფინანსთა მინისტრი თავის უკანასკნელ უქვეშევრდომილეს მოხსენებაში და იმას მიაქცია ყურადღება, რომ საერო განათლების სამინისტროს გარდა, სხვა სამინისტროებიც დიდ ფულს ხარჯავენ განათლების საქმისათვისაო; ასე რომ, მისის გამოანგარიშებით, 74,8 მილიონი იხარჯება საერო განათლებაზედ, რაიც საერთო სახელმწიფო ხარჯების 3,7% შეადგენს. მოხსენებაში ნათქვამია, რომ 1891 წელს ამავე საქმისათვის გადადებული იყო 65,5 მილიონი, ე. ი. მთელი სახელმწიფო ხარჯების 3,6%-ო. მოხსენებულია აგრეთვე, რომ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში (1892—1902 წ.წ.) საერო განათლებაზედ ერთი-ორად იმატა ხარჯებმაო (37,4 მილ. მაგივრად ეხლა 74,8 მილიონი იხარჯება); მაგრამ აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ეს 74,8 მილიონი მხოლოდ 3,7% შეადგენს, ეხლანდელ საერო სახ. ხარჯებისას, მაშინ როდესაც 1892 წელს ხარჯი 34,4 მილიონი—3,8% შეადგენდა, ე. ი., სახელმწიფოს სხვა-და-სხვა მოთხოვნილება დღითი-დღე მატულობს, მხოლოდ საერო განათლების ხარჯები, მათთან შედარებით, თან-და-თან კლებულობს.

ეხლა განვიხილოთ, რამდენად [illegible] რუსეთს ის სკოლები, რომელზედაც ასე მცირე ხარჯი მიდის? დავიწყოთ პირველ-დაწყებითი სკოლებიდგან. 1899 წ. პირველ იანვარს, იმპერიის ყველა პირველ-დაწყებით სკოლებში 4,203,246 მოწაფე იყო; ეს ციფრი თავის-თავად [illegible] არას წარმოადგენს, რადგან იაპონიაში, რომელსაც ერთი სამად ნაკლები მცხოვრები ჰყავს რუსეთზედ, ჯერ ისევ 1888 წ. 3 მილიონზე მეტი მოწაფე ირიცხებოდა დაბალ სკოლებში; რუსეთში-კი ამავე დროს (1888 წ.) მოწაფეთა რიცხვმა ძლივს მიაღწია 2 მილიონამდე. თუ რა სიჩქარით მატულობს პირველ-დაწყებით სწავლის მსურველთა რიცხვი, ცხადად სჩანს შემდეგ ციფრებიდგან: 1896 წ. 78,724 სკოლაში სწავლობდა 3,801,133 მოწაფე, 1898 წელს-კი 78,699 სკოლაში — 4,203,246 მოწაფე იყო. როგორც ჰხედავთ, სკოლების რიცხვმა იკლო, მაგრამ მოწაფეთა რიცხვმა იმდენად იმატა, რომ 1896 წელს იგი მთელის იმპერიის მცხოვრებთა რიცხვის მხოლოდ 3% შეადგენდა, 1898 წელს-კი—3,2%. თუ ასეთის თანდათანობით იქნა ზრდა პირველ-დაწყებით სწავლის მსურველთა რიცხვმა, ზემოთ მოყვანილი დამოკიდებულობა (3,2%) 60 წლის შემდეგ იმპერიის ყველა მცხოვრებთა რიცხვის 9,9% შეადგენს.

60 წლის შემდეგ რუსეთი ძლივს მიაღწევს იმ მდგომარეობამდე, რომელშიაც დღეს იმყოფება იტალია და ესპანია, რომლებიც თავის მხრივ დიდის გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით ძლივს კუდში მისდევენ დანარჩენ განათლებულ ქვეყნებს. ამ ჟამად ჩვენში 1-ლ დაწყებითი სკოლა მოდის 1,652 კომლ მოსახლეზედ და 237 ოთხ-კუთხ ვერსის მანძილზედ.

გარდა ამისა, ციფრებისავე წყალობით შეგვიძლია ნათლად გავითვალისწინოთ თვით თვისება პირველ-დაწყებით სწავლისა რუსეთში.

დავიწყოთ იქიდგან, რომ საერთოდ პირველ-დაწყებით სკოლათა მასწავლებლებში 24%-ს არც საშუალო და არც სპეციალური საპედაგოგო სწავლა არ მიუღია; მათ რიცხვში 4%-ს მასწავლებლის წოდებაც-კი არა აქვს. სამასწავლებლო ინსტიტუტები, სემინარიები და საპედაგოგო კურსები მხოლოდ ერთ მეოთხედ ნაწილს იძლევიან იმ კანდიდატთა, რომელთაც წლის განმავლობაში განთავისუფლებული სამასწავლებლო ადგილები უნდა დაიკაონ. დანარჩენი სამი მეოთხედი-კი—ნაირნაირ ელემენტებისაგან შესდგება ხოლმე: აქ შეხვდებით გიმნაზია-დამთავრებულ ქალებს, სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებს და სხვათა; ასე რომ, არ იცის კაცმა, კლებულობს თუ მატულობს მოუმზადებელ მასწავლებელთა რიცხვი.

ყველა პირველ-დაწყებით სკოლათა 96% ერთ-კლასიანია, ე. ი. მათი კურსი სამს ზამთარში თავდება, რაიც შეადგენს 18 სასწავლო თვეს; ასე რომ ორ-კლასიანი, ან მეტ-კლასიანი სკოლა თითო ძლივსა ხვდება 43,520 კომლზე და 6,258 ოთხ-კუთხ ვერსის მანძილზედ. ერთ კლასიან სკოლებში საშუალოდ თითო მასწავლებელზედ 50 მოწაფე მოდის. პირველ-დაწყებით სკოლებში კურს-დამთავრებულთა რიცხვი საყოველთაოდ მეტად მცირეა—9,9%, და მათი რიცხვი-კი, ვინც კურსის დამთავრებამდე ანებებს სწავლას თავს, მეტად დიდი—21%.

განვიხილოთ ეხლა საშუალო სასწავლებელი. 1899 წ. პირველ იანვარს ირიცხებოდა 800-ზედ ცოტა მეტი ვაჟთა და ქალთა საშუალო სასწავლებელი. ამ სასწავლებლებში სწავლობდა 107,669 ვაჟი და 94,078 ქალი. 1901 წ. პირველ იანვრისათვის ვაჟთა სასწავლებლებს მიემატა კიდევ 12 (204 გიმნაზია, 40 პროგიმნაზია და 119 რეალური სასწავლებელი),—ქალთა სასწავლებლების შესახებ არ მქონდა ცნობები,—მოსწავლეთა რიცხვმა-კი 20 ათასი იმატა. თუ შევუფარდებთ ერთმანერთს ამ ორ ზემოთ მოყვანილს რიცხვს, ადვილად მივხვდებით, რომ საშუალო სკოლათა რიცხვი მეტად მცირეა და ამის გამო ისეა გაჭედილი ყველა სასწავლებელი, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება მათში რიგიანად სწავლის დაყენება. ზოგიერთ გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელ[illegible] 600—800 მოწაფეა. 20 ს[illegible]ლებელში [illegible] მოწაფე ითვლება, ე. ი. [illegible] ყველა მოწაფეთა რიცხვისა. ამავე მიზეზით [illegible] აიხსნას, რომ საშუალო სასწავლებელში კურს-დამთავრებულთა რიცხვი მეტად მცირეა (5—6%) და, პირ-იქით, მეტად დიდია კურს-დაუმთავრებელთა რიცხვი (12%—13%). 1898 [illegible] ზიის და რეალურ სასწავლებლის კურსი [illegible] ყმაწვილმა დაამთავრა, 1900 წელს-კი —5,816-მა. ეს ციფრი, დამეთანხმებით, [illegible] რეზედ უმცირესია რუსეთის 135—140 [illegible] მცხოვრებთათვის. სიტყვამ მოიტანა და [illegible] და მოვიყვანოთ ერთი მეტად საყურადღე[illegible] მოვება.

1900 წელს გიმნაზია გაუთავებია 4,117 კაცს. წარმოვიდგინოთ ეხლა, რამდენი [illegible] გაათავებდა კურსს მას შემდეგ, რაც [illegible] მიერ შემოღებული პროგრამმა არსებობს [illegible] ზიებში? ვსთქვათ, რომ 120,000 ყმაწვილ[illegible] ყმაწვილები რომ დღეს ყველანი ცოცხ[illegible], მაინც მთელის რუსეთის მცხოვრებთა 0,1% შე[illegible]დგენენ!

თუ ასე მცირეა საშუალო სწავლა მიღე[illegible]ხვი, საიდგანღა გვექნება სტუდენტობ[illegible]ტობა იმდენად ცოტა გვყავს, რომ მარ[illegible] მცხოვრებთა რიცხვიც რომ ავიღოთ, [illegible] ძლივს ერთი სტუდენტი მოდის. სწ[illegible]ნიერთა სიმცირე ხომ პირდაპირ გაკვირ[illegible]ტკებას უქადის რუსულ მეცნიერებას [illegible] ამას წინად ლაპარაკი ჩამოვარდა ჩვენს [illegible]ბაში იმის შესახებ, რომ 10 იურიდი[illegible]ტეტზედ, 20 მაგივრად, სისხლის [illegible] უფლებათა დოქტორი მხოლოდ 8 [illegible] მოქალაქო უფლებათა დოქტორი, 40 მაგივ[illegible] 14, და სხვ. ჩვენს უნივერსიტეტებში [illegible] ყველა ფაკულტეტზედ რამდენიმე კათედრა [illegible]ამ თავისუფალია. ცხადია, რომ უმაღ[illegible] და-მიღებულთა სიმცირე საგრძნობელი[illegible] საშუალო სასწავლებლებშიაც.

გადავიდეთ ახლა იმაზედ, რამდენად მცირეა [illegible] ცხვი განათლებულ პირთა სხვა-და-სხვა [illegible] თანამდებობაზედ. „Русск. Бог.“-ს 1901 [illegible]ლის აპრილისა და 1902 წ. მარტის [illegible] ბ-ნი მ. კ. მეტად საყურადღებო სტატისტიკურ ცნობებს იძლევა. მას გამოუანგარიშებია, [illegible] სწავლა მიუღიათ: ერობათა უფროსებს, [illegible] თავად-აზნაურთა წინამძღოლებს, სამაზ[illegible] სამმართველოს თავმჯდომარეთა და „ისპრავნიკებს“ [illegible], რას გვიჩვენებს [illegible]:

სწავლა მიუღიათ:

	უმაღლესი	საშუალო	[illegible]	[illegible]
ერობათა უფრ.	80,80%	52,73%	16,47%	[illegible]
თავ-აზნ. წინამძ.	40,7[illegible]%	41,44%	17,78%	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	27,52%	[illegible]
[illegible]	21,[illegible]%	[illegible]	[illegible]	[illegible]

[illegible] მოსავლის არ იყოს, ჩვენი სწავლა-[illegible] „მოსავალიც“ მეტად აჭრელებულია, [illegible]

ფელეტონი

ხილად

„კვალის“ მოსაუბრეს.

(„კვალი“ № 27).

დააჭირა მზემ, დადგა პაპანაქება და „კვალმაც“ მოუმატა ბოდვას. ტყუილად-კი არ მარწმუნებდა ერთი მესამე დასელი, რომ ბუნებასა და აზროვნობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს და პირველს გავლენა აქვს მეორეზედაო. ჰო-და, ნამდვილი არ არის [illegible]. აიწია თუ არა ტერმომეტრმა, სამეცნიერო „კვალის“ პუბლიცისტებიც უეცრივ ახტნენ მაღალ ფარდებში და იქ ისეთი როკვა და როშვა მორთეს, რომ განსვენებულ კოდელ ნინოსაც-კი შეშურდებოდა. ამ ვარჯიშობაში ყველაზედ მეტად თავი ისახელა „კვალის“... მოტიტინემ, უკაცრავად,—მოსაუბრემ...

თქვენი რა მოგახსენოთ და ჩემთვის-კი აქამომდე ეს ბატონი მოსაუბრე ნამდვილს სფინქს წარმოადგენს და ჩვენებურად, რუსთაველისებურად რომ ვსთქვათ, დღესაც ვერ გამიგია, „კვალის“ მოსაუბრე „ფრინველია ანუ მხეცი“? არა ვითარიმე ლიტერატურული ფიზიონომია და თავისებურება ამ ვითომ-და პუბლიცისტს არ მოეპოვება. ლიტერატურულ ნიჭსა და მადლს ვინ-ღა სჩივის: მოგეხსენებათ, რომ ლიტერატურის მეუფე ამ საუნჯეს მაგრე ადვილად არ იმეტებს და რა საწყენი და სათაკილოა, თუ მოსაუბრესაც არა ერგო-რა... სავალალო და სავაგლახო აქ უფრო ისაა, რომ „კვალის“ მოსაუბრე მარტო სხვის ნაღეჭსა და ნაცოხნს იმეორებს, მაგრამ [illegible] შნოსა და ლაზათსაც-კი მოკლებული ყოფილა, თუმცა რიხი და გაბედულობა დიდი ჰქონია. ამ ღოლღითისა და ქონების პატრონი ამდგარა და ერთის კალმის მოსმით ანადგურებს და მიწასთან ასწორებს „ივერიის“ ოც-და-ხუთის წლის მოღვაწეობას!.. დიაღ, დააჭირა მზემ, დადგა პაპანაქება და „კვალმაც“ მოუმატა ბოდვას!..

⁂

[illegible] „ივერიას“ შეუსრულდა ოც-და-ხუთი წელიწადი არსებობისა. ამ ამბის გამო ჩვენს მწერლობაში არა ითქვა-რა. პ. უმიკაშვილმა აღნიშნა ეს სამწუხარო მოვლენა და ის აზრი დაასკვნა, რომ ოც-და-ხუთის წლის საგაზეთო მოღვაწეობის აღნუსხვას ცოდნა და სპეციალური შრომა ეჭირვებაო, ხოლო ჩვენ პროფესიონალური პუბლიცისტი არ მოგვეპოვებაო.. მართალიც არის: ადვილი საქმე როდია, რომელისამე გაზეთის და მეტადრე ასეთის გაზეთისა, როგორიც „ივერიაა“, ოც-და-ხუთის წლის არსებობისა და მოღვაწეობის აღწერა. ამ საქმისთვის მომზადება და ბევრი კიდევ სხვა რამე ესაჭიროება მემატიანეს. სახუმარო და საცოდილო ვარჯიშობა ხომ არ არის, „კვალის“ მოსაუბრისა არ იყვეს, აიღო კალამი და რაც პირზედ მოგადგეს, დაჯღაბნო და მკითხველებს მიართვა. აგერ საუკუნის მეოთხედი გავიდა, რაც „ივერია“ ქართველ საზოგადოებას ემსახურება. ამ დროს განმავლობაში არც ერთი საყურადღებო ამბავი არ მომხდარა და არც ერთი საგანი არ გაჩენილა ჩვენს ცხოვრებაში, რომ იმის გამო „ივერიას“ ხმა არ ამოეღოს, იგი ამბავი და საგანი არ განემარტოს, მათთვის თავისი მსჯავრი არ დაედოს. შეიძლება ვსთქვათ, რომ „ივერიის“ ოც-და-ხუთი წლიური ისტორია ჩვენის ცხოვრებისა ჩვენის ავისა და კარგის ისტორიაა. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თითქმის არც ერთი ქართველი ლიტერატორი არ მოიპოვება, რომ თავისი წვლილი „ივერიის“ სალაროში არ შეეტანოს. თვით განსვენებული გ. წერეთელი, ის წერეთელი, რომელმაც, აკაკის თქმისა არ იყვეს, „მესამე დასი დასვა“, ოდესმე გულ-მოდგინედ იღვწოდა ჩვენს გაზეთში... შეიძლება, რომ „ივერია“ ხანდახან სცდებოდა, მოსაუბრის სიტყვისა არ იყვეს, იქნება კიდეც ცხოვრების ალღოს ხანდახან ვერ იღებდა, გზის მაჩვენებლად ვერა ხდებოდა... მაგრამ შეუცდომელი და უცოდველი ვინაა?.. საქმე რომ ცდომასა და ცოდვაზედ მივარდეს, მაშინ „კვალს“ რაღა ეშველებოდა!?

ჰო, იმას მოგახსენებდით, რომ „ივერიის“ ოც-და-ხუთის წლის არსებობა უბრალო ამბავი არ გახლავთ და ამ ამბის აღწერა და დაფასება ადვილი საქმე როდია. თორემ აი ნოე ჟორდანიამაც დასტამბა „ქართული პრესსა“, რომელშიაც განხილულია „ივერია“, მაგრამ რა გამოვიდა: ყველა შეგნებული გულმართალი და მიუკერძავი ქართველი დამეთანხმება, რომ ჟორდანიას „ქართული პრესსა“ ჩვენებურ პრასადაც არა ღირს და მხოლოდ ვიწრო დასებრივი ნაცოდილარია. ბ-ნი მოსაუბრეც სამსჯავროს წინაშე აყენებს „ივერიის“ ოც-და-ხუთის წლის მოღვაწეობას, მაგრამ... გეცოდინებათ, რომ მსაჯულს თავისუფალი აზრი და პირუთვნელობა ესაჭიროება, ამაზე-კი მოსაუბრე მწყრალად ბძანებულა და თუთიყუშივით იმეორებს მხოლოდ „ქართულ პრესსის“ ლათაიებს: „ივერია“ მაშინ დაარსდა, როცა „დიფერენციაცია“ და კლასიური დაყოფა“ ჩნდებოდა და ამის ალღო ვერ აიღო გაზეთმაო... „ივერია“ ერთსა და იმავე დროს ყველას მომხრეც იყო და ყველას მოწინააღმდეგეც. ხოლო ასეთი მიმართულება უპრინციპობაა და ამიტომაც გაზეთმა ვერავის გული ვერ მოიგოვო... რასაკვირველია, აქ ეს მარქსიზმისაგან მონაბერი დიფერენციაცია და კლასიური დაყოფა ცალიერი ტიტინია და სხვა არაფერი. სოციალურმა ევოლიუციამ, კლასიურმა ცვალებადობამ თავი იმის შემდეგ იჩინა, როცა საქართველოს თვისება მოისპო (წარსულ საუკუნის პირველ ხანს). ხოლო „ივერია“ დაარსდა მაშინ, როცა ეროვნული თვითცნობიერება დაიბადა და ხალხოსნური მამულიშვილობა დაიწყო და იმ დროიდგან აქამომდე ეს გაზეთი ეროვნულ გზას ადგია. „ივერიას“ თავის მიმართულებისთვის არასოდეს არ უღალატნია და მუდამ ფხიზელი და ერთგული დარაჯი ყოფილა ჩვენის საეროვნო ვინაობისა. მცოდნე და გამჭრიახის ლიტერატორისათვის ცხადზედ ცხადია, რომ „ივერიამ“ დროთა ვითარებას ალღო სწორედ და მარჯვედ აართვა და ამიტომ სამშობლოს ნამდვილი სამსახურიც გაუწია. ამას აწინდელი ჩვენი ეროვნული [illegible]მოცოცხლება ჰმოწმობს.

სოციალურ „დიფერენციაციის“ და „კლასიურ დაყოფის“ ნეოფიტს, შეიძლება, ეროვნული აღორძინება არაფრად ეპიტნავებოდეს, მაგრამ ქართველის გულიდგან არასოდეს არ აღმოიფხვრება „ივერიის“ ღვაწლი, მისი ბრწყინვალე ეროვნული დროშა.

„ივერია“ დევნიდა და დევნის ყოველგვარ აზრს და მიმართულებას, როგორც თავის თანამშრომლებში, ისე მკითხველებში და ამ ნაირად მან მოკლა და დაასახიჩრა ქართველი მკითხველის გონება და აზრიო“, ბრძანებს უხეირო ქართულით „კვალის“ პუბლიცისტი. მართლაც-და, ლიტერატორი არა თუ მარტო დასიცხული, არამედ თავში დაკოდილი უნდა იყვეს, რომ ასეთი სიტყვები წამოროშოს!.. ჰმ, „ივერია“ სდევნის ყოველ გვარ აზრს და მიმართულებასო... და იმავე დროს თითონვე-კი „ივერიას“ არ უსვენებენ,—ფეოდალურ-კლერიკალურ მიმართულებას ემსახურები და მარქსი ღმერთად და ხატად არა გწამსო, „ივერიამ“ დაასახიჩრა ქართულის გონება და აზრიო... და თითონ-კი გაიძახიან—ქართველობა რის მაქნისია, ენა უბრალო იარაღია, გონებისა და აზრის მსვლელობა ჯერ რა საჭიროა, საქმე კუჭი და სტომაქიაო!. დიაღ, ქართულ მკითხველს გონებაცა და აზრიც თითონ დაუბნიეს და „ივერიას“-კი ბრალს თავზედ ახვევენ და თუ ჩვენი გაზეთი ყოველ მავნებელ აზრს და მიმართულებას სდევნიდა და ახლაც სდევნის, ეს პატიოსანის გაზეთის საღმრთო მოვალეობას შეადგენს. იქნება დიდადაც ჰსურდეთ, მაგრამ ამ მოვალეობაზედ ხელს ვერ აგვაღებინებენ. ჩვენ კარგად გვესმის, რა მუცლის გვრემა აწუხებს მოსაუბრეს, როცა აზრისა და მიმართულების დევნას გვიკიჟინებს.

⁂

მერე მოჰყოლია მოსაუბრე და ნიმუშად „ივერიის“ თანამშრომელს ბ-ნს ნინია გარეჯელს ასახელებს. თქვენი არ ვიცი და მე-კი სასაცილოდ არ მეყო, როცა მოსაუბრემ ნინია გარეჯელს ხელი წამოჰკრა. ვინ იცის, იქნება ეს ხელის წამოკვრა მოსაუბრეს იაფად არ [illegible], ეს სხვა საქმეა! ჩვენ ის [illegible]რვებს, რომ საბრალო „კვალის“ პუბლიცისტს ჰგონია, ნინია გარეჯელს პირველად [illegible] „დიფერენციაცია“, „კლასიური დაყოფა“ [illegible] სხვა ამგვარი სიბრძნე. მაგრამ რა სიბრმავე და უმეცრების ამაყობაა! მოსაუბრემ როდი იცის, რომ „დიფერენციაცია“, „კლასიური დაყოფა“ და სხვა ამ გვარი ფრაზეოლოგია დიდი ხანია გაცვდა და გახუნდა. ნინია გარეჯელს ამ ფრაზეოლოგიით ვინმე ღიმილს [illegible], თორემ აბა როგორ გააკვირვებს... ბ-ნ მოსაუბრე-კი „უპრაგონოთ“ და [illegible]ტით ისვრის მარქსის ტერმინებს, წ[illegible]ნია, რომ ამ ტერმინების პენტაში [illegible] და ცხოვრებაო და თანაც თავისს [illegible]თხება: „ვერ გაგვიგია, რისთვის ან [illegible] ბ-ნი ნინია გარეჯელიო“?—დალოც[illegible], რა ცოდნის მადანი და ჭკუის კოლო[illegible] ბრძანდებით, რომ თუ რამე თქვენ ვერ გაიგეთ, იმას სხვაც ვერ გაიგებს... კარგს [illegible] კარგი გამგონი უნდაო, ქართული ანდაზა ამბობს და ვისი ბრალია, რომ ვერ [illegible], —ვისთვის და რისთვის სწერს ბ-ნი ნინია გარეჯელიო“?.. ბ-ნი ნინია გარეჯელი ამ[illegible] „ივერიაში“, ქართულ მწერლის აზრი და გულის ნადები ვერ აღწევს იქ, სადაც ჯერ არის, [illegible] მღაღადებლად რჩება უდაბნოში, რუსულ გაზეთის მეოხებით შეიძლება ჩვენი დარდი და ვარამი ვაუწყოთ იმათ, რომელთაც ეს უნდა იცოდნენ, ხოლო რუსული გაზეთ[illegible]ბის ხელშია და ამიტომ ქართველ მწერლის ღვაწლი და შრომა თითქმის ფუჭი და უნაყოფოაო. „კვალის“ მოსაუბრეს ეს უბრალო და მარტივი აზრიც-კი ვერ გაუგია და ნინია გარეჯელს სწამებს ქართულ ლიტერატურის გაუქმებას და ძირიან-ფესვიანად ამოგდებას ქადაგებსო... საიდგან სადაო, წმინდაო [illegible]! მართლაც და საოცარი და საკვირველი ყოფილა მოსაუბრის გაუგებრობა, ვაი „დიფერენციაციის“ და „კლასიურ დაყოფის“ [illegible]ლიც ასეთის გონება-მახვილ პუბლიცისტის ხელში!.

[illegible]

მახინჯებულიც.

ზოგიერთ გუბერნიასა და ოლქში თითო სკოლა მოდის 638—983 მცხოვრებზედ და 14—27 ოთხ-კუთხ ვერსის მანძილზედ, მაგრამ ისეთი ადგილებიცაა, სადაც 1 სკოლა ძლივს მოდის 3,540—70,927 მცხოვ. და 3,666—46,433 ოთხ-კუთხ ვერსის მანძილზედ. აი, მაგალითად:

ტულის გუბერნიაში	14 ოთხ-კუთ.	760 მცხ.
ლიფლიანდიისა	24 —	790 —
კოვნოს	133 —	4,376 —
სემირეჩინ. ოლქ.	7,650 —	23,023 —
ფერგანის	3,666 —	70,927 —

იგივე ითქმის საშუალო განათლების შესახებაც. მაგ., 1901 წ. შვიდ ქალაქში: პეტერბურგს, მოსკოვს, კიევს, ოდესას, ვარშავას, რიგასა და ხარკოვში 87 გიმნაზია, პროგიმნაზია და რეალური სასწავლებელი იყო, რომელშიაც 24,169 მოწაფე სწავლობდა, ე. ი. ერთი მეოთხედი ყველა საშუალო სასწავლებლების მოწაფეთა და ერთი მეხუთედი ყველა მოწაფეთა მთელს რუსეთში (ცნ. საერ. გან. სამინ).

შეგვეძლო კიდევ უფრო უნუგეშო მთაბეჭდილება მოგვეხდინა მკითხველზედ, რომ აქვე მოგვეყვანა ანგარიში რუსეთში დაბეჭდილ წიგნთა, დრო-გამოშვებით გამოცემათა, ბიბლიოთეკებისა და სხ. მაგრამ რაც ვსთქვით, იქიდგანაც შემდეგი, ნაღვლით სავსე დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: „განსაცვიფრებელი სიმცირე და დამახინჯებული უთანაბრობა!“

რუსეთი მეტად დატაკია განათლების მხრივ და მეტად ზანტად, ზოზინით მიდის წინ. აგერ რამდენიმე წელიწადია ერთ მითქმა-მოთქმაში არიან სკოლის რეფორმის შესახებ, მაგრამ ყოველივე რაიმე გაუგებრობის შთაბეჭდილებას ახდენს. პირველ ყოვლისა ნამდვილი რეფორმა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მრავალი ახალი სკოლა გაიხსნას სხვა-და-სხვა ტიპისა სხვა-და-სხვა ადგილებში მცხოვრებთა მოთხოვნილების მიხედვით; დიად, ამას მოითხოვს რუსეთის ღირსება, როგორც ევროპიულ სახელმწიფოისა“.

უცხოეთი

ინგლისი. კაპის ახალშენის ლოიალისტები დაჟინებით სთხოვდნენ მთავრობას, რომ კაპის კონსტიტუცია ჯერ-ჯერობით შეეჩერებინა. ამ დღეებში ლონდონის კაბინეტმა დეპეშით აცნობა სამხრეთ-აფრიკის მთავარ-კომისარს, ლორდ მილნერს, რომ ბრიტანიის მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია ასეთ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაო.

საფრანგეთი. დიდი კამათი გამოიწვია კოშენის შეკითხვამ ახლად დაარსებულ საკონგრეგაციო სკოლების დახურვის შესახებ; ეს სკოლები მთავრობის ნება დაურთველად დააარსეს და ამისთვის მთავრობამ გადასწყვიტა მათი დახურვა. კამათი მთავრობის სრული გამარჯვებით დასრულდა.

დენი კოშენმა განაცხადა, რომ 135 საკონგრეგაციო სკოლის დახურვა მეტად მხეცური ძალდატანება იყოო. სკოლებს ჰკეტავდნენ, ბერებსა და მონოზნებს-კი, რომელნიც მათში მასწავლებლობდნენ, ცალიერ-ტარიელს ღვთის ანაბარად უშვებდნენო; იმასაც-კი აღარ კითხულობდნენ, მოეძევებოდათ რაიმე სალსარი ცხოვრებისა, თუ არა. ორატორის სიტყვით, კონგრეგაციები მიტომ არ თხოულობდნენ მთავრობის ნება-რთვას, რომ, თვით ვალდეკ-რუსსოს განმარტებით, 1901 წ. კანონი არ არღვევდა 1869 წ. კანონსაო; უკანასკნელი კანონი-კი ყოველ დიპლომიან მოქალაქეს სრული ნება ეძლეოდა სკოლის გახსნისა. გარდა ამისა, კონგრეგაციებს ხომ ახალი სკოლები არ გაუღიათ: იგინი მხოლოდ განაგრძობდნენ სწავლებას იმ სკოლებში, რომელნიც ერის კაცთა მიერ იყო დაარსებული. კოშენის აზრს მიემხრო აბბატი გეიროც, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობის მიერ მიღებული ზომები, კონგრეგაციების გარდა, კერძო პირთა უფლებებსაცა ჰხლუდავსო. მონარქისტ დე-რამელმა სთქვა, რომ სკოლების დახურვა კერძო საკუთრების უფლებათაც არღვევსო. ორატორებს პასუხი გასცა მინისტრ-პრეზიდენტმა კომბმა. მან განაცხადა, რომ კანონი ასოციაციათა შესახებ მეტად მარტივად ნათელიაო: არც ერთი ახალი კონგრეგაციის, არც ერთი ახალი დაწესებულების, ან არსებულ კონგრეგაციის განყოფილების დაარსება არ შეიძლება მთავრობის ნება-დაურთველადაო. მიუხედავად ამისა, 1901 წ. კანონის გამოცემის შემდეგ მრავალი საკონგრეგაციო სკოლა დააარსეს და ამით პირ-და-პირ წინააღმდეგობა გამოუცხადეს მთავრობასაო. მთავრობამ ბევრი ითმინა, და, როდესაც ზოგიერთმა კონგრეგაციამ წინააღმდეგობა განაცხადა და საბუთად ის მოიტანა, რომ თვით კონგრეგაცია ნება-დართულია და, მაშასადამე, მის განყოფილებათა გახსნის ნებაცა გვაქვსო, კიდევ გაახსენა მათ, რომ ყოველის ახალ დაწესებულების დაარსება მთავრობის ნება-რთვას თხოულობსო. მაშინ კონგრეგაციათა უმრავლესობამ გამოითხოვა ნება-რთვა და მხოლოდ ექვსი მათგანი ამის შემდეგაც ნება-დაურთველად განაგრძობდა მოქმედებას. აი, სწორედ მათ წინააღმდეგ გამოსცა დეკრეტი, რომ სკოლები დაეხურათ. იგინი არ დაჰყაბულდნენ მთავრობის განკარგულებას და განაცხადეს, რომ სკოლები კერძო პირებისაა და ჩვენ მხოლოდ ქირით ვეწევით მასწავლებლობასაო. სახელმწიფო საბჭომ ხელ-ახლად განმარტა, რომ სკოლები, რომლებშიაც კონგრეგაციათა წევრები ასწავლიან, საკონგრეგაციო სკოლებს ეთანაბრებაო. ამ გვარად მთავრობა დიდის მოთმინებითა და სულგრძელებით მოიქცა; აქ-კი იმას გაიძახიან, სასტიკობა და შეუბრალებლობა გამოიჩინეთო. კონგრეგაციებმა დიდი ხანია იცოდნენ, რაც მოელოდათ, მაგრამ უკანასკნელ ჟამამდე უცნაურს ჯიუტობას იჩენდნენო. „ჩვენაო—სთქვა დასასრულ კომბმა—ასოციაციათა კანონი დიდის სიფრთხილითა და ზომიერებით ვიხმარეთ, მაგრამ ის-კი ყველას ახსოვდეს, რომ ჩვენი მოვალეობა ბოლომდე შეურყევლად უნდა აღვასრულოთო. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ზემორე აღნიშნული კანონი მხოლოდ დასაწყისი იყო; მოკლე მომავალში მას სხვებიც მოჰყვება. 14 თიბათვის დეკრეტი ნება-დაურთველ სკოლათა დახურვის შესახებ პირდაპირი შედეგი იყო ჩვენის დეკლარაციისა, რომელიც თქვენვე მოიწონეთ. ამისათვის ვთხოვთ რესპუბლიკელთა დასს, რომ იგი თანაგრძნობით მოგვეკიდოს. საფრანგეთმა მიტომ შეჰკრიბა პალატაში რესპუბლიკელთა უმრავლესობა, რომ უზრუნველ ეყო მოქალაქეთა საზოგადოების გამარჯვება ბერ-მონაზონთა მორჩილებაზედ (ხანგრძლივი ტაშის კვრა). პალატამ დიდის უმრავლესობით მოიწონა მთავრობის განცხადება და გადასწყვიტა კომბის სიტყვა მთელს საფრანგეთში გაეკრას.

სხვა-და-სხვა წერილები

ჩვენებური კრიტიკოსობა

(მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის საქმეთა გამო).

სამართლიანი მსჯავრი, მიუდგომელი კრიტიკა კაცთა მოქმედებაში იგივეა, რაც მარგვლა თოხნა სოფლის მეურნეობაში. გაუმარგლელ ყანას ბალახ-ბულახი ერევა, ნიადაგი უმაგრდება. საჭიროა, ბასრი იარაღით ნიადაგი გაფხვიერდეს, სასარგებლო მცენარეების დამჩაგვრელი ბალახ-შამბი ამოიჭრას, რომ ყანამ ბზინვა იწყოს და მთესველის გული გაახაროს. კარგი მთესველი და კარგი მმართველი ერთს მიზანს ემსახურებიან—პირველი, თავის ყანას და მეორე თავის მრევლის გამარჯვება-გაბრწყინებას. ესვე ითქმის ჩვენს საზოგადო „ყანასა“ და მის მუშებზე. აქაც, ამ უკანასკნელთა შორის, საჭიროა ერთობა და ერთი მიზნის სამსახური, რათა ჯეჯილმა იხაროს და კარგი ნაყოფი მოგვცეს. სიტყვით, თითქოს, ყველა თანახმაა ამ ჭეშმარიტებისა, გარნა საქმით სულ სხვა გამოდის, მწარე სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება. აი ეს სინამდვილეც.

ა) 1895 წელს არსდება ბათუმში მეაბრეშუმეთა ამხანაგობა. ექვსის წლის განმავლობაში, 1900 წლის ბოლომდი ამხანაგობა იძენს 2064 ამხანაგს 25,187 მანეთის წილის ფულით.

ბ) ამ ექვსი წლის განმავლობაში იგი ასაღებს 26,497 კოლოფ თესლს აბრეშუმის ჭიისას 60,777 მანეთად. ეს აღებ-მიცემობა უტოვებს ამხანაგობას 4,462 მანეთს მოგებას.

გ) ამავე დროს ამხანაგობა ჰყიდის 8,113 ფუთს აბრეშუმის ჭიის გამხმარ პარკს ანუ, ნედლის ანგარიშზე, 24,400 ფუთს—სულ 391,728 მანეთად, ე. ი. ფუთ ხმელ პარკს 48 მანეთად ანუ ნედლს 16 მანეთად ჰყიდის. ამ ფულიდგან მწარმოებელს ეძლევა ფუთ პარკში ერთი მეორეზე ანგარიშით 12 მანეთამდე (11 მ. 93 კ.). გარდა ამისა ესეთი აღებ-მიცემობა ამხანაგობას უტოვებს, ხარჯს გარდა, 51,812 მანეთს მოგებას.

დ) 1898 წლიდგან ამხანაგობა ასაღებს პარკს პირდაპირ საზღვარ-გარეთ, საქონლის და კაცის გაგზავნით, ხოლო 1901 წელს კაცის გაუგზავნელად უკვე გაცნობილ მუშტრებზე.

ე) ამხანაგობა ჰმართავს საფეიქრო-სახელოსნოს; ასწავლის ქალებს პარკის წმინდა ძაფად ამოხვევას, დართვას და ქსოვას. აქ ნასწავლი ქალები განაგრძობენ ქსოვის საქმეს თავიანთ სახლებში და მახლობელ სოფლების ქალთა სკოლებში (დიდ-ჯიხაიში და სხ.). უკანასკნელ საიუბილეო გამოფენაზე ამხანაგობის ქსოვილები იმსახურებენ საზოგადოების ყურადღებას და ოქროს მედლით ჯილდოვდებიან.

ვ) 1895 წლიდგან, ხუთი წლის განმავლობაში, ამხანაგობის ერთ თუმნიანი წილის პატრონი დივიდენდად იღებს რვა მანეთს და 40 კ. (8 მ. 40 კ.), (მხოლოდ უკანასკნელ ორს წელს ამხანაგობას მოგება აღარა აქვს).

ზ) ამხანაგობა იმოდენა ნდობას მოიპოვებს, რომ 1900 წელს მწარმოებლები 4,000 ფუთ ნედლ პარკს გასასყიდად უტოვებენ მარტო ავანსის მიღებით. ამოდენსავე პარკს საკომისიოდ გასასყიდად იმავე წელს ანდობენ ამხანაგობას პარკის კერძო მოვაჭრეებიც.

თ) დღეს ამხანაგობის საქმეები წარმოებს მთავრობისაგან დამტკიცებულ წესდებით, რომელიც შემუშავებულია სანიმუშო წესდებიდგან, ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებით.

მარტო ოდენ მშრალი ჩამოთვლა ყველა ამისა ამტკიცებს, რომ ამხანაგობა, შეძლებისა დაგვარად, წარმატების გზას ადგია თავიდგანვე. მიუხედავად ამისა იგი დღემდის ვერ ეღირსა მიუდგომელ კრიტიკას, დასაბუთებულ მსჯელობას მისის ავკარგის შესახებ. ვინც-კი ხმა ამოიღო მის შესახებ და მის მუშებისა, მხოლოდ იმიტომ, რომ ავი ეთქვა ამ ჩინებულ დაწესებულების შესახებ *). თავი რომ დავანებოთ ზოგიერთ „ქვენა მოსაზრებათა“ მქონე „კრიტიკოსებს“, საზოგადოდ ამ მოვლენის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ყველას უნდა ჩვენში, საუბედუროდ, საქმის შეუსწავლელად, კრიტიკოსის სახელი მოიხვეჭოს. ამიტომ ერთის თვალის გადაკვრით ანუ ერთის კალმის მოსმით კიდეც სჭრის და კიდეც ჰკერავს. მათს „გამამტყუნებელ ოქმებს“ და „მაღალ-გონიერ“ მოსაზრებებს საბუთები არ ეჭირვება.

ამ ჯურის „მოსაზრებათა“ ნიმუშების გროვას წარმოადგენს, ჩვენდა სამწუხაროდ, ბ-ნ „ისოს“ წერილი „ივერიის“ № 101 დაბეჭდილი, თუმცა ამ წერილის სათაური („ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის კრების გამო“) ნებას გვაძლევდა გვეფიქრა, რომ იქ შეხვდებოდით თითონ ავტორის საკუთარს მსჯელობას, საბუთებსა და არა ლიტონ სიტყვებზე დამყარებულს, მაგრამ ნამდვილად წერილი წარმოადგენს ჩვენგან დასახელებულ კრიტიკოსების მსჯელობის გამოძახილს. აი, საბუთიც. „ამხანაგობის ამ ორ უკანასკნელ წლის განმავლობაში საგრძნობლად ჩამოქვეითებამ ხალხში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, და თუ დღემდე მმართველის თვითნებით მოქმედებაზედ კანტი-კუნტად გაისმოდა საყვედური თვით კრებაზედ (?) და ლიტერატურაშიაც, დღეს ეს სამდურავი გაზრდილა, ხალხში გადასულა (?!). აქ-კი, რასაკვირველია, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ამ გვარ საქმეებში, ხალხური საზღაპრო (!) ხასიათი მიუღია და ბევრი ამბობდა სასტიკად უნდა მოვექცეთ „ამხ.“ ხელმძღვანელსაო“, (იხილე «ივერია» № 101), სწერს ისო „ივერიაში“ (№ 101).

აქ მცირე ხნით შევჩერდეთ. ამოწერილიდგან ცხადად სჩანს, რომ „ამხანაგობის ჩამოქვეითება“ ბრალად ედება მმართველს, რომელიც, თუ ავყვებით მკიცხავთა სიფიცხეს, თურმე ჯვარცმის ღირსიც ყოფილა. მართალია, რომ ამხანაგობამ-კი არ „ჩამოიქვეითა“, 1900 წელს პირდაპირ ზარალიც ნახა და 1901 წელშიაც ვერაფერი მოიგო; მაგრამ ამაში ამხანაგობის მმართველს იმდენივე ბრალი ედება, რამდენიც ბურების ომის ატეხაში. ამხანაგობის ზარალი გამოიწვია საზოგადო, საქვეყნო მოვლენამ: პარკის და საზოგადოდ აბრეშუმეულობის ფასების დავარდნამ ევროპასა და ამერიკაში, მთელს დედა-მიწაზე. ეს იყო ზარალის ნამდვილი მიზეზი, რომელსაც ნახევარი სიტყვითაც-კი არ იხსენიებენ ჩვენი კრიტიკოსები და, მაშასადამე, არც ბ-ნი ისო. ნაცვლად ამისა, ისინი აი რა მიზეზებს ასახელებენ: „მყვედრებლები ამბობდნენ, განაგრძობს ბ. ისო, რომ „მმართველი არავის რჩევას არ ჰკითხავს, საქმეში არავის (?) ირევს, ამხანაგობის საქმეებში ბოროტ-მოქმედება (!) ხდება და ყოველსავე ამას ხელს აფარებენ, არ აქვეყნებენო.“ „ბოროტ-მოქმედება“—აი თურმე რას ჩამოუქვეითებია ამხანაგობა, ჩვენი კრიტიკოსების სიტყვით?! „ბოროტ-მოქმედებაო“—ეს მათი შეყვარებული სავარჯიშოა. ნათქვამია, ცეცხლი ვთქვი და პირი არ დამწვაო, მათი საქმეც ასეა. რაიმე საზოგადოებრივ მოვლენას რომ ნამდვილი მიზეზი მოუძებნონ, ამას გაცილებით მეტი შრომაც უნდა და საქმის ცოდნაც, ვინემ სხვის ლანძღვა-გინებას და უსაბუთო ცილის-წამებას. მაგრამ, თუ მართლა ბოროტ-მოქმედება ტრიალებდა ამხანაგობის საქმეთა მართვა-გამგეობაში, ამ სენს უნდა ეჩინა თავი, უნდა დაესუსტებია ამხანაგობა. წინააღმდეგ ამისა, სინამდვილე ღაღადებს, რომ ამხანაგობა 1900 წლამდის თან-და-თან იზრდებოდა, წინ მიდიოდა. მას ემატებოდა წევრთა რაოდენობა, ემატებოდა ნდობა, ეზრდებოდა აღებ-მიცემობა. თვით „ისოს“ წერილიდგანაცა ვხედავთ, რომ ამხანაგობის წმ. მოგება სამი ათას მანეთიდგან (1895 წ.) რვა ათას მანეთამდის (1899 წ.) ავიდა *). ნუ თუ ყველა ეს ბოროტ-მოქმედების შედეგია?! ამას ყოველივეს ჩვენი კრიტიკოსები განგებ ივიწყებენ და 1900 წლის საქვეყნო კრიზისს ჩვენ გვითვლიან ცოდვად! მათის აბუჩალაკი ლოღიკით, თურმე ჩვენ სასწაული უნდა მოგვეხდინა და მაშინაც-კი მოგვეგო, როცა ქვეყანამ იზარალა!? ეს ვაჟბატონები იმის მაგიერ, რომ ხალხისათვის სინამდვილე დაენახვებინათ, თვით ამ ხალხის განსაცვიფრებლად, პირზედ ქაფ-მორეულები ამხანაგობის ყრილობაზედ ცდილობდნენ ყველასათვის გზა-კვალის არევას!! იმის მაგიერ, რომ კრებისთვის წარედგინათ მომავალში სამოქმედო პროგრამმა, ესენი ამხანაგობის დახურვას უქადაგებდნენ ამხანაგობას, რადგან, მათი სიტყვით, დღემდის ზარალის მეტი სარგებლობა არა მოუტანია-რაო მას?!

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ დააფასა კრებამ მათი საქციელი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ამხანაგობის საჭიროება სოფლელებს კარგათ აქვთ შეგნებული; იმაშიაც ღრმად იყო დარწმუნებული დამსწრე საზოგადოება, რომ ამხანაგობის მმართველი არაფერს შუაში იყო აბრეშუმეულობას რომ ფასები დაუვარდა.

„მეორენი ამბობდნენ, განაგრძობს ბ. „ისო“, „რომ მან (წერეთელმა) გარს შემოიხვია ისეთნი, რომელნიც საზოგადოებრივ ინტერესებით სრულიადაც არ არიან გამსჭვალულნი, არც მმართვის უნარი აქვთ, თავიანთ ჯიბისათვის უფრო ფიქრობენ და სახელს უტეხენ (?!) ამხანაგობას“; „ხალხის დასახმარებლად დაარსებული ამხანაგობა ხალხისავე საყვლეფ სატანჯველ (!!) საშუალებად გადაუქცევიათო (თუ მართლა ასეთი იყო ეს ამხანაგობა, რაღა თქმა უნდა, მოსასპობი ყოფილა იგიც და მისი ხელმძღვანელიც!); «ჩარჩობის წინააღმდეგ საბრძოლველი იარაღი, ამხანაგობის სახელით მონათლული, საამხანაგო საზოგადოებრივ დაწესებულებად მიჩნეული, რამდენისამე კერძო კაცის საცხოვრებელ იარაღად გარდაქმნესო“. აი ტიპიური ნიმუში ჩვენებურის ცარიელ-სიტყვიანი კრიტიკისა! როცა ასეთს „კრიტიკას“ ჰკითხულობთ, ძალა უნებურად თვალ-წინ სცენა წარმოგიდგებათ და გგონიათ, რომ იქიდგან ჩვენებურ „კრიტიკოსების“ მძლავრს მამხილებელს უსმენთ! გესმით ქარაფშუტა კრიტიკოსის ცარიელი, ბრტყელი და მკვეხარა სიტყვები და მხოლოდ სიტყვები, და არც ერთი ნიშანწყალი საბუთისა!? მაგრამ სავალალო ის არის, რომ თქვენს წინ წარმოდგენა კი არ არის, სინამდვილეა და სცენის კრიტიკოსის ნაცვლად ჩვეულებრივი „კრიტიკოსი“ არახუნებს თქვენ შესახებ ასეთს სიტყვებს და თქვენგან თავის გამართლებასაც ითხოვს?! რადგან ამის დაჯერება ყველას არ შეუძლიან, თუ მართლა ეს სინამდვილეა და არა მოჩვენება, იძულებული ვართ მოვიყვანოთ ბ. „ისოს“ შემდეგი სიტყვები: „ამ გვარი საყვედურები ბევრი გაისმოდა ამხანაგობის მოქმედების შესახებ და დღემდე, თითო-ოროლას გარდა, ცალკე, კერძო საუბარში და აქა-იქ გაზეთობაშიაც, არავინ ცდილა ამ ხმების ან დადასტურებას, ან უარ-ყოფას.“ ვის ოდეს დაუდასტურებია და ვის ცდას უარ უყვია ცარიელი სიტყვების რახა-რუხი?! აი ჯოჯოხეთი! „ამაში წილი, განაგრძობს ბ. ისო, „ამხ.“ ხელმძღვანელს გარდა, სარევიზიო კომისიასაც უდევს...“

რა ჯანია, თავი უნდა ვიმართლოთ. „ივერიის“ პატივცემული რედაქციაც, იმედია, ამ წერილს დაგვისტამბავს ყოველის უარის უთქმელად, რადგან თითონვე გვიწვევს საპასუხოდ და თვით „კვალიც“, რომელსაც ჩვენი ანტიკრიტიკა ჰკირივით ეჯავრება, ამ შემთხვევაში სახტად დარჩება, თუმცა ჩვენი „კრიტიკოსები“ მისივე „დასჯილები“ ბრძანდებიან, მაშასადამე, ეს ჩემის მხრივ „სიტყვის შებრუნება“ გამოდის, რაც მისგან აღკრძალული მაქვს.

ვინ რამდენად არის გამსჭვალული საზოგადოებრივ ინტერესებით და ვის აქვს „საიმისო უნარი“, ამაზე ცილობა დიაღაც არ შეიძლება. ზოგიერთ „კრიტიკოსს“ შეუძლია, რომ თვით ქრისტე ღმერთსაც შესწამოს კერძო ინტერესების სამსახური... ჩვენ რომ ჩვენს გარშემო განგებ „არა კაცები“ შეგვეგროვებინოს, ამის დასამტკიცებლად რა საჭიროა, კაცმა სრულიად აბუჩად აიგდოს არა მარტო ლოღიკა, თვით დაუძინებელი მსაჯული, რომელიც ყოველს კაცს თან დასდევს,—სინიდისი!

ა) ჩემი პირდაპირი დამხმარე ამხანაგობის საქმეებში იყო ამხანაგობის მოლარე მღვ. პეტრე გ. ცაგარეიშვილი. ვისმე რომ მისი, ვთქვათ, სახე არ მოსწონდეს, ეს სრულიადაც არ ამცირებს მას, როგორც მუშაკს. რაც ამ კაცს თავის ვიწრო წრეში გაუკეთებია ადგილობრივ სოფლის სკოლებისა, სასოფლო ბანკებისა და მოხსენებულ ამხანაგობის სასარგებლოდ, თვისის მტკიცე ხასიათისა და ენერგიის მეოხებით, მასზე მეტათ ნასწავლებსაც არ გაუკეთებია. ბ) მეორე დამხმარე ამხანაგობის საქმეთა მართვაში, ამხანაგობის ნოტარიულის პირობით, იყო მდივანი. ამ ადგილზე პირველად მოწვეულ იქმნა ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი (დღეს ზედამხედველი) ბ. მ—ძე. ერთი წლის შემდეგ, მისის მოუცლელობის მიზეზით, მის ადგილზე კრებამ აირჩია ტფ. სასულიერო სემინარიაში კურს-დამთავრებული თავისუფალი კაცი (დღეს მღვდელი), კ. ი. ქუთათელაძე. ერთი წლის შემდეგ ის დღევანდელ თანამდებობაზე გაწესა და ჩვენ იძულებული ვიყავით ახალი კაცი მოგვეძებნა, და მოვძებნეთ კიდეც ჟ. კიწმარიშვილი, რომელიც მაშინ საზღვარგარეთ იყო. იგი დღეს (ამხანაგობის გამგეობის წევრია. გ) იმ თავით ამხანაგობის სარევიზიო კომისიის წევრად არჩეულ იქმნა: თ. დ. ი. წულუკიძე (თავად-აზნაურთა ყოფილი მაზრის წინამძღოლი), ბ. სტ. გაგუა (ხონის ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველი) და ბ. ა. მაჭარაძე (ხონის სამრ. სასწავლებლის მასწავლებელი, ხონის მესტამბე). 1897 წელს ამათი ადგილი ოპპოზიციამ დაიჭირა. ახალი სარევიზიო კომისია შესდგება ექვს წევრთაგან. ამათგან იყვნენ: ორი აქ ყველასაგან პატივცემული ექიმები პ. ი. ჩხიკვიშვილი (ხონის სასოფლო სემინარიის მასწავლებელი) და მ. ვ. ბახტაძე (ხონის საურთ. ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე), ბლ. მღვ. მაჭარაძე და მღვ. ნ. ლეჟავა (დღეს კიევის აკადემიაში სწავლობს) და ორიც მარგანეცის კომმერსანტი—ბ. პ. მოსეშვილი (სას. სემინ. კურსდამთავრებული) და „ცნობილი“ ი. პ. კაკაბაძე. მე მგონია, რომ მიუდგომელს მსაჯულს არ შეუძლია არ აღიაროს, რომ რაც-კი შეიძლებოდა ადგილობრივ პირობების მიხედვით, გარს გვახვევია რჩეული კაცები და არა უმდაბლესები, როგორც ჰგონიათ ჩვენს „კრიტიკოსებს.“

ნათქვამიდან, იმედია, არავინ გამოიყვანს იმ დასკვნას, ვითომ მე დასახელებულ პირთ ვაღმერთებდე და ჩემს თავს მათთან ერთად ვთვლიდე ქვეყნისთვის თავდადებულთა იდეალად. სრულებითაც არა, ესე იგი, იმოდენათ არა, რამოდენათაც მე არ მგონია, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნას შეადგენდეს რომელიმე მეაბრეშუმეთა, გინდა მეთამბაქოეთა, ამხანაგობა მარტო-ოდენ.

ყველა ზემოდ ნათქვამიდგან თავის-თავად შემდეგი დასკვნა გამოდის: ხშირად შეხვდებით ჩვენს გაზეთებში ახალ დაარსებულ ამხანაგობათა უსაბუთოდ ქება-დიდებას ანუ ასეთსავე ლანძღვა-გინებას. ორსავე შემთხვევაში შენიშვნების ავტორები გატაცებულნი არიან ყველაზე ნაკლებად საზოგადო ინტერესებით. საიდან გამოდის ის ნაკადული, რომელიც ამოძრავებს ჩვენს მზრახველებს, რედაქციები ხშირად ვერ ამჩნევენ. ეს ძლიერ სამწუხაროა, რადგან მკითხველი ვერ ადგენს შეუმცდარს აზრს ამა თუ იმ საზოგადო დაწესებულების შესახებ და მოტყუებული რჩება. მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობაც ვერ ასცდა ამ დაბრკოლებას, რომელიც, თუმცა მისთვის საშიშს არას წარმოადგენს, მაგრამ მაინც აფერხებს მის წარმოებას და წინსვლას.

ნესტორ წერეთელი.

---

*) ამათ რიცხვში არ ითვლება მხოლოდ ბ-ნ ნადიკვრელის წერილი, დასტამბული, მგონი, «ივერია»-ში 1897 წელს ამხანაგობის „მტერ-მოყვრების“ წინააღმდეგ. შესანიშნავია აგრეთვე, რომ ამ ბოლოს დროს «კვალი» შეეხო ორს საკითხს (პარკის ყიდვა-გაყიდვის საქმეს) ჩვენთვის სრულიად მოულოდნელის და მისთვის არა-ჩვეულებრივის (ჩვენდა მიმართ მაინც) სიდინჯით. მაგრამ «ანტიკრიტიკის» ნებას, არა თუ არ გვაძლევს იმ შენიშვნების შესახებ, დიდ ცოდვათაც გვითვლის! იხ. ბ-ნ Z. წერილით და მეორეც იმავე წერილის დამცველ ხელმოუწერელ წერილით „კვალმა“ შესამჩნევად უღალატა ძველს ტრადიციას (ამხანაგობაზე ან ცუდი ან არაფერი), რომელსაც იმავე დროს სავსებით ემსახურება ,,დასჯილების'' წერილებში (,,კვალი'' №№ 20 და 22).

ნ. წ.

*) 1899 წელს ამხანაგობის წმ. მოგება რვა ათასი მანეთი იყო, გარდა ამისა კიდევ წევრთ-მწარმოებელთ დამატებით დაურიგდათ ფუთ პარკზედ ექვსი მანეთი —სულ 27,000 მანეთი; ეს ფული წმინდა მოგებაში კი არ არის შეტანილი ,,ანგარიშის დასაშვენებლად'', როგორც ,,კვალს'' ჰგონია! 1901 წელსაც დაურიგდათ მწარმოებლებს დამატებით ფასად ხუთ ათას მანეთზედ მეტი, ანგარიშში-კი წმ. მოგებად ცხრა თუმანია ნაჩვენები!

ნ. წ.

წერილი

რედაქციის მიმართ

ჭიათურის წარმოდგენის გამო.

მაისის უკანასკნელ რიცხვებში მოვიდა ჩემთან ორი ყმაწვილი კაცი, რომელთა დასახელება, ჩემდა სამწუხაროდ, არ ხერხდება, და მთხოვეს სევასტი გაჩეჩილაძის სახელით, მონაწილეობა მიმეღო სოფ. წევის მომავალ სამკითხველოს სასარგებლოდ ჭიათურას 9 ივნისს გამართულ წარმოდგენაში. დავეთანხმე და აღვუთქვი მონაწილეობას მივიღებ-მეთქი. თქმა და აღსრულება ერთი იყო. რადგანაც მოთამაშე ქალები არ გვყავანდა, გადავწყვიტეთ, იმისთანა პიესები გვეთამაშნა, რომლებშიაც მოთამაშე ქალის როლი არ არის. ამოვარჩიეთ თითო-ოროლა მოქმედებიანი ვოდევილები;

როგორც, მაგალითად, „სცენა საპატიმროში“, შევადგინეთ აფიშა, რომელიც სევასტი გაჩეჩილაძის „მოციქულთაგანმა“ წაიღო ზესტაფონში დასაბეჭდად და შაბათს, 1 ივნისს, (წარმოდგენა იყო დანიშნული კვირას, 2 ივნისს) გავემგზავრენით ქიათურას. მივედით-რა ქიათურას, ვნახეთ ბ. ს. გაჩეჩილაძის მეორე წყება: წარმოდგენის „გამგებლების“ განკარგულებით გაკრული დაგვხვდა აფიშები „ორი ობოლი“-სა, მოთამაშეებად, ჩემს გარდა, გამოცხადებულ იყვნენ ბ. ს. გაჩეჩილაძე, ბალანჩივაძე და ქუჯი. ეს აფიშები მე არაფრად მეპიტნავა, რადგანაც ამ პიესაში, როგორც დრამაში, მე შესაფერი როლი არა მაქვს (უმეტეს ნაწილად მე ვიღებ მონაწილეობას კომედია-ვოდევილებში). ვკითხე ს. გაჩეჩილაძის ერთს „მოციქულთაგანს“, თუ რას ნიშნავს ეს აფიშები, რა პიესას ვთამაშობთ მე, ს. გაჩეჩილაძე და მოთამაშე ვასო ბალანჩივაძე? იმან მიპასუხა, რომ აფიშები არაფერიაო, „ორ ობოლს“-კი არა, ჩვენგან ამორჩეულს პიესებს, ვოდევილებს ვითამაშებთო. „გამგე“ ს. გაჩეჩილაძე ცოლეურს არის წასულიო და, ყოველ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა, შემოსავალი არ იქნება, ერთს თავის კარგს ნაცნობს მიკიტანს ოცი მანეთი დაუტოვაო, ბ. ბალანჩივაძე-კი არ თამაშობს და არც აქ არისო. მე ეს ამბავი არ მესიამოვნა და წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებაზედ უარს ვამბობდი იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოება უკმაყოფილებას გამოაცხადებს აფიშაში გამოცხადებულ პიესის გამოცვლით-მეთქი. „მოციქულებმა“ დამარწმუნეს, საზოგადოებამ იცის, რომ „ორ ობოლი“-ს მაგივრად სხვა პიესას ვითამაშებთო. მეც დავთანხმდი და ვითამაშე ამორჩეულ ვოდევილებში. გათავდა წარმოდგენა, რომლიდგანაც შემოსავალი, რამდენადაც მახსოვს, 90 მანეთამდის იყო. ამ ფულიდგან „გამგე“-ს სევასტი გაჩეჩილაძის „გამგებლებმა“ წარმოდგენაში მონაწილეობის ყველა მიმღებლების თანადასწრებით და თანხმობით გაისტუმრეს ხარჯი. აი, დახარჯულის რაოდენობის ანგარიში: მეზურნეებს—15 მან., პარიკმახერს 6 მან., რეკვიზიტორს 4 მან. 50 კაპ., „სტრაჟნიკებს“—2 მან., ბ. გაჩეჩილაძის „ვექილ-ვეზირებს“ და წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებლების მისვლა-მოსვლის ქირა და ხარჯი 18 მან. კაპეიკებით, კასსირს, რომელსაც არ ვიცნობდი, როგორც დანარჩენს სხვა მოღვაწეებს—2 მან., მარკებისა და სხ.-და-სხ. ყველა ამ ხარჯის გასტუმრების შემდეგ წმინდა შემოსავალი დარჩა 33 მან. და რამდენიმე კაპეიკი, რომელიც ადგილობრივის ბოქაულის ბ. ყიფიანის თანადასწრებით ჩაიბარეს ბ. სევასტი გაჩეჩილაძის „აპეკუნებმა“. შემდეგ ამისა გამგებლებმა ვახშამზედ მიგვიპატიჟეს ყველანი, ვინც-კი იქ ვიყავით. მიწვეულთაგან უმეტესობას ვერ ვიცნობდი, ,,ხარაზები'' იყვნენ თუ ,,ფინაჩები'' (იხ. ,,ივერიის'' № 126-ში), მე არ ვიცი. აგრეთვე თუ რა უყვეს იმ 33 მანეთს. ეს-კი ვიცი, ვახშმის ფული მე, როგორც მიწვეულთაგანს ანუ სტუმარს, არ გადამიხდია.

რაც შეეხება ბ. „სიმართლის“ და ს. გაჩეჩილაძის წუწუნს ჩემი თამაშის შესახებ, ამაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ მე, როგორც ყოველთვის, შეძლებისადაგვარად, ვითამაშე ერთგულად. ამ საქველ-მოქმედო წარმოდგენამ, თუ მატერიალურის მხრივ თავის დანიშნულებას ვერ მიაღწია, აქ მე რა შუაში ვარ? ამაში პასუხის მგებელნი, როგორც იურიდიულად, ისრე ზნეობრივად არიან თვით წარმოდგენის გამმართველნი ბ. ს. გაჩეჩილაძე, როგორც „გამგე“ და მისი „ვექილ-ვეზირები“.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ბ. ბალანჩივაძეს.

„ივერიისავე“ № 130-ში არის მისგან მოთავსებული ერთი ვებერთელა წერილი, რომელშიაც ბრალსა მდებს, ვითომც ზემოხსენებული წარმოდგენა ქიათურაში მე გამემართოს მისი სახელით. იგი საქმის გარემოების შეუტყობლად უწმაწურის ლანძღვა-გინებით მიხსენიებს და კიდევაც იმუქრება—სასამართლოს მივმართავო. „მე-კი, ჩემდა თავად, ბ. ბალანჩივაძეს ამის შესახებ მოვახსენებ, რომ მართლა თავხედობა და ბავშვობაა საქმის შეუტყობლად ისეთი ლანძღვა-გინება უდანაშაულო პირისა, როგორც იგი მე მლანძღავს. თუ ბ. ბალანჩივაძეს ამგვარ ლანძღვა-გინებას თავი არ დაანებოს, თორემ იძულებული ვიქნები მე თვით მივმართო სასამართლოს.

ქუთაისის ქართულ თეატრის მსახიობი ვ. აბულაძე.

II

პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ ,,ივერიაში'' დაბეჭდილი ნუსხა ქართველ წმიდანთა ყოვლად-სამღვდელო დიმიტრის და მამა მარკოზ ტყემალაძის საკუთარი კვლევა-ძიების საპატიო ნაყოფია და მე მიმიწდვია მათთვის მხოლოდ თითო-ოროლა ქრონოლოგიური ცნობა. 28 ივნ.

მ. ჯანაშვილი.

„ივერიის“ ფოსტა:

ბ-ნს ა. ვარცლელს.—

„ოთხთა მთის შუა გმირულად
გადაჭიმულა სოფელი,
ძველი დროების მოწამე,
ოც კომლთა შვილთა პატრონი“...

ოც-კომლიანი სოფელი „გმირულად გადაჭიმული“... აშკარა საქმეა, „გმირულის პოემის“ დაწერა გინდოდათ, მაგრამ,—ჰნახეთ სიმუხთლე ქამისა,—წავიდა მოდა გმირულის პოეზიისა!

—

აბაშა. ჯიხაიშელს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

—

თელავი. „ორიოდე სიტყვა სახალხო წარმოდგენის“ ავქსონს, ერთი ერთთაგანს, არ იბეჭდება.

—

შაშიანი. ალაზნისპირელს. კმარა მაგ საგნის შესახებ ლაპარაკი. მოგვაწოდეთ უფრო საქმიანი წერილები.

—

VICTOIRE-ს—წერილი მათხოჯის სკოლის შესახებ არ იბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

28 ივნისი

პეტერბურგი. 28 ივნისს, ღვთივ განსვენებულ ხელმწიფე მემკვიდრის გიორგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების დღეს, ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდი ჰერცოგი ოლდენბურგელი მეუღლით, დიდნი მთავარნი და მთავრინანი იახტით „ალექსანდრია“-თი მობრძანდნენ პეტერბურგს და წირვას დაესწრნენ პეტრე-პავლეს ტაძარში. ვარშავის გზით მობრძანდნენ დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, დიდი მთავრინა მარიამ ალექსანდრეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და ეტლებით პეტრე-პავლეს ტაძარში გაემართნენ. ღვთის მსახურება შეასრულა სასახლის სამღვდელოებამ. გუშინ და დღეს დიდი ჰერცოგი ოლდენბურგისა მეუღლით სადარბაზოდ იყვნენ მათ უდიდებულესობასთან, ხელმწიფე მემკვიდრესთან და სხვა უმაღლეს პირებთან.

27 ივნისს პეტერჰოფის დიდს სასახლეში საგვარეულო სადილი გაიმართა, რომელსაც დაესწრო დიდი ჰერცოგი ოლდენბურგელი მეუღლით. 28 ივნისს აბაშეთის ნეგუსის ელჩთან აბუნა მათეოსთან სანახავად იყვნენ პობედონოსცევი და საბლერი.

ანტოკოლსკის გვამს პეტერბურგში მოასვენებენ დასაკრძალავად.

ვერჟბოლოვო. დღეს წავიდა მეკლენბურგ-შვერინის დიდის ჰერცოგის მეუღლე ანასტასია მიხეილის ასული პეტერბურგს.

კიევი. რკინის გზის სადგურებს ფასტოვსა და კოჟანკას შუა საქონლის მატარებელი დაზიანდა. 27 ვაგონი დაიმტვრა; მოკლულია ზეთის წამსმელი.

სოხუმი. სმეცკის სანატორიის მმართველად სოხუმს ახლო დაინიშნა ემელიანოვი. სანატორიაში მოთავსდება 120 ავადმყოფი. სანატორია პირველ ოქტომბერს გაიხსნება.

პარიჟი. მინისტრ-პრეზიდენტმა დაავალა პრეფექტებს გამოუცხადონ სასულიერო წოდებას, რომელთაც ნება არა აქვთ დართული, თავისი დაწესებულებანი რვა დღის განმავლობაში დახურონ. ამ ვადის შესრულების შემდეგ პრეფექტებმა უთუოდ უნდა დახურონ ეს დაწესებულებანი, რომელთა რიცხვიც 2,000-დეა.

იერუსალიმი. ორს მართლ-მადიდებელ ბერს მიესაჯა საპყრობილეში დაპატიმრება—ერთს ცხრა, ხოლო მეორეს ოთხის თვით. ბრალდებულნი საქმის გარჩევას არ დასწრებიან. მიზეზი ის არის, რომ ამ ბერებს ძალ-მომრეობა უხმარიათ გერმანელ ფრანცისკანელთა წინაამდეგ.

სოფია. მთავრობამ წარუდგინა საერო კრებას კანონ-პროექტი, რომლითაც ჯარი სამის წლით 45-დინ 40 ათას კაცამდე უნდა შემცირდეს.

ლონდონი. გუშინ, როდესაც დიდ-ძალი ხალხი უცდიდა დედოფლის გავლას რიჯენტ-სტრიტზედ, ეკკლესიას მოსწყდა დიდი ქვა, სიმძიმით 100 კილომეტრი. ერთი დედაკაცი გაჭყლიტა, რამდენიმე კაცი დაშავდა.

ფორტ-დე-ფრანსი. ვულკანმა მეტად ძლიერად ამოხეთქა. ხუთი საათი გასტანა ვულკანის აფეთქებამ. მცხოვრებნი შიშმა მოიცვა. ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი. ტელეგრაფის მავთულები დადნა.

რომი. სამეფო მატარებელმა დღეს ვერონზედ გაიარა. შეიკრიბა დიდძალი ხალხი.

ალა. მეფე მოვიდა დილის 7 საათზე და 20 წუთ. და, ცოტა შესვენების შემდეგ, გზას გაუდგა.

ბერლინი. „კელნის გაზეთი“ ამბობს, რომ სახელმწიფონი, რომელთაც ხელი მოაწერეს ბრიუსელის კონვენციას, რუსის ნოტას მიშინათვე არ გასცემენ პასუხს. სახელმწიფონი ეცდებიან, ერთმანეთს მოელაპარაკონ. გაზეთის შენიშვნით, უცხოელ მთავრობათ არ იციან, როგორ მოიქცნენ რუსეთის ნოტის გამო.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია: 1) ახალი სავექსელო წესდება, 2) იმ კანონთა ცვლილება, რომელიც უკანონოდ შობილ ბავშვთა მდგომარეობას შეეხება.

29 ივნისი.

მოსკოვი. სერბიის გარეშე საქმეთა მინისტრმა დაავალა მოსკოვის კონსულს მოსკოვის საქონლის ნიმუშები გაუგზავნოს ბელგრადის მუზეუმისათვის.

ინნსბრუკი. შუადღის 1 ს. 46 წ. მოვიდა იტალიის მეფე და ხუთი წუთის შემდეგ წავიდა. არსად არ უხვდებიან, რადგანაც ოფიციალურად არ მოგზაურობს.

ოდდე. იმპერატორმა დილით მიიღო ვალდეკ-რუსსო, რომელიც გუშინ მოვიდა გემით „არიადნა“-თი.

ოდესსა. შავი ზღვის ესკადრას მიემატა გემები, რომელთა შორის არის ჯავშნიანი გემი „როსტისლავი“, რომლის უფროსია დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ დაგვირგვინებაზე სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელნი არ იქმნებიან მიწვეულნი.

პარიჟი. მინისტრთა საბჭომ მოაწერა ხელი ბრიუსელის კონვენციისა და შაქრის შესახებ კანონ-პროექტს.

ბლუმფონტეინი. ბურების ზოგიერთმა აფიცერმა და ზოგიერთმა წინანდელ სამმართველოს მოხელეებმა უარი სთქვეს ფიცის მიღებაზე, რომ მძიმე მოვალეობა არ ეტვირთათ, ხოლო მცირეოდენმა არ მოაწერა ხელი მეფე ედუარდის ქვეშევრდომობის ქაღალდზე.

29 ივნისი

ცეტინიე. დღეს, დილით, კარის ეკკლესიაში ბატონიშვილმა მირკომ და კოსტანტინოვიჩის ქალმა ჯვარი დაიწერეს. წესი შეასრულა მიტროპოლიტმა. ჯვრის-წერის შემდეგ მეფე-პატარძალი წავიდნენ მთავრის სასახლეში. ერი აღტაცებულად ეგებებოდა მათ. საღამოსთვის სასახლეში დანიშნულია სადარბაზო სადილი და დახვედრა.

ბელგრადი. ლებლევო-სელოს ახლოს ალბანნი შეეტაკნენ სერბებს. ალბანთ დახერიტეს ორი სერბი.

გუშინდლიდგან აქ გამოდის გაზეთი “ალბანია“ ალბანურს ენაზე.

პარიჟი. „Temps“ იუწყება, მეფე და დედოფალი სერბიისა ენკენისთვის დასასრულს ყირიმს მიდიანო.

პარიჟი. პალატის „სესია“ დღეს დაიხურა.

ლონდონი. კიტჩენერს ზეიმით დაუხვდნენ. სენტ-ჯემის სასახლეში მის პატივსაცემად გამართულ იქმნა საუზმე და შემდეგ კიტჩენერი წავიდა ბუკინგამის სასახლეში, საცა მიღებულ იქმნა მეფე-დედოფლისაგან.

პარიჟი. ოფიციალურ ცნობით, მარტინიკაზედ, უკანასკნელ ამოხეთქის დროს, კაცთაგან არავინ შექმნილა მსხვერპლად.

ცეტინიე. გუშინ მოვიდა გრაფი ტურინესა საელჩოს მოთავედ. ადმირალმა დეტბერნომ მიართვა წერილი იტალიის მეფისა ხელმწიფე მთავარს და ბატონიშვილს მირკოს, ხოლო პატარძალს — უმშვენიერესი დიადემა.

სუემ-ვალი (გეჯას მხარეს). აჰმად-რატიფფაშა, გაქცეული ფინანსების აწეწილობისა გამო, დაბრუნდა მექქას, რადგან შეწყალებულ იქმნა და ნებართვა მიიღო შესდგომოდი თანამდებობის ასრულებას.

30 ივნისი

ასხაბადი. 27 ივნისს, ღამით, უცნობმა ბოროტ-მოქმედმა გაქურდა ფოსტის კანტორა და წაიღო 14,000 მანეთამდე.

ჰელსინგფორსი. უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა მთავრობის განკარგულებითა და დაკანონებით გამოცხადების წეს-რიგი ფინლიანდიის დიდს სამთავროში.

ვარშავა. შანჰაიდგან მოსულმა ჩინელმა ვაჭრებმა მოგებით გაჰყიდეს თავისი აბრეშუმეულობა და ამიტომ ფიქრობენ ვარშავაში სამუდამო საწყობი გაიჩინონ.

კრონშტადტი. გუშინ, საღამოს 8 საათზე, უმთავრესმა ადმირალმა მაკაროვმა სადილი გამართა საპატიოდ იტალიელ ადმირალის მირაბელოსი, სადღეგრძელოები წარმოითქვა მონარქთა.

კონსტანტინოპოლი. პორტამ ნოტა გაუგზავნა სახელმწიფოთ, რომელთაც იტვირთეს კრიტის მოწყობის საქმე და გამოუცხადა, რომ თანახმა არა ვარ იჭრებოდეს იქ ფული პრინცის გიორგის სახთაოთ.

სიმბირსკი. 15 მემამულე გლეხი სოფელ მირენკოვისა ალატირის მაზრისა შუამდგომლობს, რომ ნება მიეცეთ დააარსონ პირველი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ციმბირის გუბერნიაში.

პეტერბურგი. დღეს ახალს პეტერგოფს ბალტიის ზღვის რკინის გზით მობრძანდა იტალიის მეფე. მის დასახვედრად რკინის გზის სადგურზე მობრძანდნენ დიდნი მთავარნი, მინისტრები და კარის მოხელენი. 4 საათზედ მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი. მისი უდიდებულესობა და დიდნი მთავარნი მიუახლოვდნენ ვაგონს, რომლიდგანაც გამობრძანდა მეფე. მიგებება ფრიად გულითადი იყო. ხელმწიფე იმპერატორმა და მეფემ გადაჰკოცნეს ერთმანერთი. მეფე მიესალმა დიდს მთავრებს და ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინა თავისი ამალის წარმომადგენელნი. ხელმწიფე იმპერატორი და მეფე ჩაბრძანდნენ ხელმწიფის ეტლში, მარჯვნივ დაბრძანდა მეფე და მეხუთე საათის დასასრულს ეტლი გაემართა მისს უდიდებულესობის საკუთარ სასახლეში. ხალხი აღტაცებული იძახდა „ურასა“.

ჰელსინგფორსი. გუშინ, ნაშუადღევის 2 საათზე, იყო მესამე საზოგადო კრება ნატურალისტებისა. კრება დაიშალა.

კალუგა. საბჭომ გადასწყვიტა ექვსი დესეტინა მიწა დაუთმოს მთავრობას საოსტატო სემინარიის დასაარსებლად.

ვარშავა. „კურიერ ვარშ.“ იუწყება, რომ სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო ვაჟთა საშუალო სასწავლებლების დაბალ კლასებში მუსიკა ისწავლებოდეს მასწავლებელ ქალთა მიერ.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ივნისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	91,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,, ...	46,27½
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . .	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	466 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	357¼ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . .	290¾ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	82¼ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	90 გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	10525 გაყ.
აქციები ,, ...	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4525 გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. .	170 წვ. გაყ

ყოველ-დღური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან).	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში, ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

თბილი გოგირდის აბანო

„ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანაოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სით. 37₅₀ ც. ფასი მცირეა. კონკ ქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555 (6.—(წლ.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლ დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა
ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი მოცაქული(?) წიგნები:

საუმწყემსო ამბები ეგ. გაბაშვილმა .	30
საქართ. ისტორია ბროსესა I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ . . .	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა . . .	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილის. .	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოლელის. .	„ 10
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი ..	15
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძის	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი . .	,, 30
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირის	,, 5
აბო ტფილელი, ე. კ. .	,, 30
Або Тифлисскій, Е. К. . .	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ .	,, 60
გიორგი და მიხეილი . .	,, 10
რ. აბაშიძის . . .	,, 60
დ. გაბრუაშვილის . . .	,, 25
მელის წიგნი, გ. თუაიშვილის .	,, 40
მუშათა კითხვა . . .	15 ,,
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. ზ. ყონხოშვილის . . .	1 ,,
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
მოძღვრებანი, ი. გამრეკელის. .	,, 40
Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ . . .	,, 20
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანის	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძის	,, 30
ხანგი, ვ. აბაშიძის . . .	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძის.	
კოპერნიკიდან დარვინამდე .	,, 10
განდეგილი, მ. ლელაშვილის .	,, 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К. 1 р.	50 к.
უკვდავთა დაღადებანი, მ. ჯანაშვილის	,, 15
მეცნიერებისთვის წამებულნი .	1 ,,
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 50
ნელი და ხატრაში, თრ. ელ. წერეთლის	10
ცისარტყელა, ავ. ცაგარელის .	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილის .	1 ,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова . . .	,, 5
დედა, ანდერსენის . . .	,, 8
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	,, 30
კუბიკები ქართულის ანბანის . 1	მ. 24
ლექსები განდეგილის . . .	,, 50
ევდოშვილის	,, 50
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი . 1	მ. ,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი . .	,, 20
Двѣ святыны въ Кахетіи, Е. К.	,, 10
Давидъ Гареджели, Е. К. .	,, 15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძის .	,, 15
ლენე, მოთხრობა	,, 5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,, 40
Назрѣвшій Е.ропов съ, К. .	,, 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლის .	,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ .	,, 3
ამბავი მაღლის ქვის . . .	,, 5
აკიდო საუმწყემსო, მოთხ. ი. გოგებაშ.	,, 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი . . . . 1 მ.	50
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი .	,, 40
ბენია.	,, 10
ბუნების სადაგრი მოვლენანი, ს. ჯუღელის	,, 15
ბაში-აჩუკი, აკაკის. . .	,, 30
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის 1 მ.	,, 30
გლეხ-კაცის ისტორია, III—IV ტ. 1 მ.	,, 20
აღმზრდელი, აკაკის . . .	,, 5
გასართობი	,, 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—ს .	,, 15
გუსტავ ვაზა	,, 5
პატარა ლორდის თავგადასავალი .	,, 30
პატარა ვეფხვის ტყაოსანი. .	,, 25
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილის	,, 40
სიტყვიერების თეორია, ევ. კირიონის და გრ. ყიფშიძის . . .	1 ,,
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანის. .	,, 60
აერთო დღესასწაული . . .	,, 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р.
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლის. .	,, 3
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К . . .	,, 30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი .	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძის	,, 40

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. [illegible]